ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი

10 აპრილი 2023 წელი

N 16/36

ეგზ.: N 1

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	მოსაზრება	4
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა გარემოებები	20
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	27
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები	29
დანართები	კონსოლიდირებული ერთეულები	69
	საკონტაქტო ინფორმაცია	70

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

აკადემია – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

დელტა – სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“.

ინტიტუტი „ოპტიკა“ - სსიპ - ინსტიტუტი „ოპტიკა“.

კიბერუსაფრთხოების ბიურო – სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიურო.

ლიცეუმი – სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ჯანდაცვის სამინისტრო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სამხედრო ქვედანაყოფი – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისთვის თავდაცვის ძალებში შემავალი ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების მართვის დეპარტამენტთან.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივები – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივებად განხილულია საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები.

წულუკიძის ინსტიტუტი – სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი.

ჯლუსი – ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა.

ჰოსპიტალი – სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას თავდაცვის სფეროში.
2021 წელს სამინისტროს მმართველობის სფეროში ფუნქციონირებდა 12 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელთა დაფინანსების წყაროებს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები.[1]

ცხრილი N1. *ინფორმაცია სამინისტროს 2021 წლის დამტკიცებული/დაზუსტებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)*

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	% სხვაობა	საკასო
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	**900,000,000**	**991,423,105**	**10%[2]**	**978,983,958**
მომუშავეთა რიცხოვნობა[3]	**40,646**	-		-
ხარჯები	**648,036,400**	**731,303,226**	**13%**	**731,301,624**
მათ შორის, შრომის ანაზღაურება	*408,122,500*	*431,521,564*	*6%*	*431,521,284*
არაფინანსური აქტივების ზრდა	***251,963,600***	***260,119,879***	***3%***	***247,682,335***

ცხრილი N2. *ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)*

საბალანსე ერთეულის დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი შემოსავლები	ჯამი
სამინისტროს აპარატი	910,750,738	-	910,750,738
სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო -ტექნიკური ცენტრი „დელტა"	30,679,691	7,380,947	38,060,638
სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი	8,086,020	18,240,573	26,326,593
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	17,416,383	148,437	17,564,820
სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	3,827,499	197,220	4,024,719
სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	1,578,497	418,546	1,997,043
სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	1,434,395	254,305	1,688,700
სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო	1,523,914	-	1,523,914
სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი	964,501	78,658	1,043,159
სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა	1,005,366	-	1,005,366
სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	630,892	115,407	746,299
სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი	644,626	32,402	677,028
სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა	441,436	10,734	452,170
ჯამი	**978,983,958**	**26,877,229**	**1,005,861,187**

[1] საკუთარი შემოსავლები დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. მაგალითად, 2021 წელს დელტამ შემოსავლების სახით 5,841,275 ლარი მიიღო, ხოლო ჰოსპიტალმა - 19,806,480 ლარი.
[2] 2021 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილებით, სამინისტროს დამტკიცებული ბიუჯეტი ჯამურად გაიზარდა 91,423,105 ლარით, საიდანაც 90,000,000 ლარი: სამხედრო იარაღის სისტემების შესაძენად, სამხედრო ტექნიკის რემონტისთვის, კვებითი ხარჯებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო 1,423,105 ლარი წარმოადგენს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხას.
[3] განსაზღვრულია წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად.

მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების** (ერთად – „ჯგუფის“)[4] კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს,[5] მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, აბზაცში – „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო,[6] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის[7] შესაბამისად.

[4] იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

[5] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული N1-N21 შენიშვნები.

[6] უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები ძირითადად მოიცავს ინვენტარიზაციების, მატერიალური მარაგების, ძირითადი საშუალებების, მოთხოვნა-ვალდებულებების აღრიცხვის ნაკლოვანებებს.

[7] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში[8] ჩართულია სამოქალაქო ოფისი და თავდაცვის ძალების შემადგენლობა.

***ცხრილი N3**. თავდაცვის ძალების სტრუქტურული ერთეულები და მათი ქვედანაყოფები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან სამინისტროს აპარატთან ფინანსური ინფორმაციის წარდგენაზე.*

	გენერალური შტაბი
თავდაცვის ძალები	ჯლუსის სარდლობა (დაქვემდებარებული 5 ქვედანაყოფი)
	აღმოსავლეთ სარდლობა (დაქვემდებარებული 4 ქვედანაყოფი)
	დასავლეთ სარდლობა (დაქვემდებარებული 4 ქვედანაყოფი)
	ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა (დაქვემდებარებული 1 ქვედანაყოფი)
	წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა (დაქვემდებარებული 4 ქვედანაყოფი)
	ეროვნული გვარდია (დაქვემდებარებული 2 ქვედანაყოფი)
	სამხედრო პოლიცია
	სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი
	სპეციალური ოპერაციების ძალები
	გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტი
	გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის ცენტრი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- სარდლობებსა და ბრიგადებში ბუღალტერ-აღმრიცხველები აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვას აწარმოებენ ორი განსხვავებული ფორმით: აღრიცხვის ჟურნალებში რაოდენობრივად და ელექტრონულ ფორმატში თანხობრივად (აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები). აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული,[9] რაც არ არის შესაბამისობაში აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.[10] აღსანიშნავია, რომ ღირებულების გარეშე აღრიცხული და სრულად ამორტიზებული აქტივების შეფასების მიზნით, 2021 წელს სამინისტრომ გააფორმა ხელშეკრულება შემფასებელთან. ამასთანავე, განსხვავებული ფორმატისა და არაიდენტიფიცირებული მონაცემების გამო,[11] რაოდენობრივი აღრიცხვისა და თანხობრივი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება გართულებულია და რიგ შემთხვევებში ვერ ხერხდება;
- **სამინისტროს აპარატის** ფინანსების მართვის დეპარტამენტში სამხედრო ქვედანაყოფებიდან მიღებული ფინანსური ინფორმაცია აღირიცხება ყოველთვიური

[8] სამინისტროს დაქვემდებარებული ერთეულების ანგარიშგება, გარდა სხვა საბალანსე ერთეულებისა (დელტა, სამხედრო ჰოსპიტალი და სხვ.)

[9] 1994 წელს დამტკიცებული სახელმძღვანელო „საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შეიარაღების, ტექნიკის, ქონების და სხვა მატერიალური საშუალებების აღრიცხვის შესახებ“

[10] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

[11] ინფორმაცია მოიცავს გრძელვადიანი აქტივების, მატერიალური მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების მოძრაობას (მიღება/გასვლა), მაგრამ არ მოიცავს აქტივების აღრიცხვისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: დასახელება, მოდელი, პირველადი დოკუმენტი, რაოდენობა.

ჯამური თანხით, ხოლო 6 თვეში ერთხელ სამინისტროს ქვედანაყოფებიდან მიეწოდება აქტივების სახელობითი რეესტრები.[12]

შესაბამისად, სარდლობებისა და ქვედანაყოფების დონეზე სააღრიცხვო მონაცემები არაინფორმაციულია, ხოლო ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ სრულყოფილად ვერ ხორციელდება ეკონომიკური მოვლენების კონტროლი. მაგალითად, 2022 წლის აპრილში,[13] ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა სამინისტროს განმეორებით წარუდგინა აქტივების 2021 წლის სახელობითი რეესტრი, რომელშიც აქტივების კორექტირებული ჯამური ღირებულება 542,419 ლარით ნაკლები იყო თავდაპირველად წარმოდგენილზე. სხვაობის თანხა 2021 წლის ანგარიშგებაში აღიარდა ხარჯის სახით. აღნიშნული მიუთითებს გარკვეული კონტროლის მექანიზმის არსებობაზე, რომელიც შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს.

რიგ შემთხვევებში, არ არის დროული და ეფექტიანი კომუნიკაცია სტრუქტურულ ერთეულებს შორის, რის გამოც ქვედანაყოფებსა და სამინისტროში ეკონომიკური მოვლენები აისახება სხვადასხვა პერიოდში.[14]

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, აღსანიშნავია, რომ ფინანსური და ლოგისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ 2020-2021 წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა, კერძოდ:

- *2020 წლიდან **სამინისტროს აპარატს** თავდაცვის ძალების შესაბამისი საფინანსო ერთეულები პერიოდულად აწვდიან ანალიზური აღრიცხვის მონაცემებს,[15] 2021 წლიდან დაწყებულია კონტროლის მექანიზმების გამოყენება არაფინანსური აქტივების მოძრაობის ყოველთვიური უწყისებისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის ფორმების მიხედვით;*
- *2020 წლიდან დაწყებულია რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვის პროცესი.[16] სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული სისტემა, სრულყოფილად ამოქმედების შემდეგ, უზრუნველყოფს **სამინისტროს აპარატსა** და ქვედანაყოფებს შორის არსებული აღრიცხვა-ანგარიშგების ნაკლოვანებების აღმოფხვრას.*

1.2 ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატის მიერ 2021 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. რიგ ქვედანაყოფებში საინვენტარიზაციო უწყისები არ არის ცალ-ცალკე მომზადებული ბალანსზე არსებულ და საცნობარო მუხლში აღრიცხულ მარაგებზე, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობას,[17] რომლის მიხედვითაც საცნობარო მუხლში აღრიცხულ აქტივებზე დგება ცალკე შედარების უწყისი.

ინვენტარიზაციის შემაჯამებელი ოქმები წარმოდგენილია ცალკეულ ქვედანაყოფებზე რიცხული ქონების კლასების მიხედვით, რაც ძირითადად მოიცავს 2008 წლის ომთან

[12] თუ აქტივები მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული და თანხობრივი შეფასება არ აქვს, ასეთ შემთხვევაში მისი რაოდენობრივი ხარჯვა/გასვლა კონტროლდება ქვედანაყოფის და ჯლუსის დონეზე, თუმცა ინფორმაცია არ ხვდება ფინანსების მართვის დეპარტამენტში.

[13] წერილი N12-29ს(27.04.2022).

[14] ვრცლად საკითხები მოცემულია ქვემოთ, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ნაწილში.

[15] საანგარიშო წლის ბოლოს არსებული მარაგების და ძირითადი აქტივების სახელობითი რეესტრები, სადაც დეტალური დასახელების მიხედვით ჩანს თითოეული აქტივის რაოდენობრივ - თანხობრივი ნაშთები.

[16] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 4 მარტის ბრძანება MOD 6 20 00000217.

[17] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 12, პუნქტი 3.

დაკავშირებულ დანაკარგებს და სხვადასხვა პერიოდებში წარმოშობილ დანაკლისებს,[18] რომელიც 2020 წელს ჩამოწერილია და გადატანილია საცნობარო მუხლზე.[19]

ცხრილი N4. *ინფორმაცია სამინისტროს 2021 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობების შესახებ (ლარი).*

N	ინვენტარიზაციის შედეგი	ძირითადი აქტივები	მცირეფასიანი აქტივები	მარაგები	სულ
1	დაკარგული	65,566,482	825,648	3,093,290	69,485,420
2	დანაკლისი	28,476,154	1,766,966	1,568,302	31,811,422
3	**ჯამი**	**94,042,636**	**2,592,614**	**4,661,592**	**101,296,842**

სამინისტროს დონეზე არ არის მომზადებული ნაერთი შემაჯამებელი ოქმი, სადაც კანონმდებლობის შესაბამისად,[20] უნდა აისახოს:

- ცნობები დანაკლისების, დანაკარგებისა და ზედმეტობების მიზეზებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ;
- გასატარებელი ღონისძიებები ფაქტობრივი მონაცემების საბუღალტრო ჩანაწერებთან განსხვავებების რეგულირების შესახებ.

სამინისტრომ 2020 წელს განახორციელა აქტივების კორექტირება, რის შედეგადაც მათი ნაშთი ჯამურად შემცირდა 741,055,416 ლარის ოდენობით, მათ შორის მატერიალური მარაგების ნაშთი შემცირებულია 307,718,266 ლარით,[21] ძირითადი აქტივების ნაშთი - 433,337,150 ლარით.[22] სამინისტროს მიერ აქტივების მუხლის ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად და სამართლიანად წარდგენის მიზნით განხორციელებული ქმედებები დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა არ განხორციელებულა უზუსტობების გამომწვევი მიზეზების დეტალური მოკვლევა.

დელტაში აუდიტის მიმდინარეობისას არ იყო დასრულებული უძრავი ქონების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია. **დელტას** ცენტრალური საწყობი შედგება 4 საცავისგან. მიუხედავად ამისა, მარაგები საბუღალტრო პროგრამაში არ არის გამიჯნული ცალკეული საცავებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით და მარაგების მოძრაობა აისახება ცენტრალიზებულად. აღნიშნული, თავის მხრივ, ართულებს მარაგების ეფექტურ კონტროლს და ვერ უზრუნველყოფს ინვენტარიზაციის პროცესის სრულყოფილად განხორციელებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2021 წლის ინვენტარიზაცია ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა.

[18] კერძოდ: 69,000,000 ლარზე მეტი ღირებულების დაკარგული ქონება, 31,000,000 ლარზე მეტი დანაკლისი და დაახლოებით 130,000 ლარის ზედმეტობა.

[19] აქედან უდიდესი ნაწილი უკავშირდება 2008 წლის ომის შედეგებს.

[20] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 7.

[21] კორექტირების საფუძველს წარმოადგენდა ჯლუსს, ქვედანაყოფებს და აპარატს შორის საჟურნალო ჩანაწერების მიხედვით განხორციელებული ურთიერთშედარებები. კორექტირების საფუძვლის მიხედვით გამოვლენილი უზუსტობები მომდინარეობს 2016 წლიდან.

[22] კორექტირებების დიდი ნაწილი გამოწვეულია სამინისტროს აპარატსა და ქვედანაყოფის ნაშთებს შორის შეუსაბამობით, რომელიც სამინისტროს განმარტებით, მომდინარეობს 2016 წლიდან და დაკავშირებულია ქვედანაყოფების მიერ წლების განმავლობაში აქტივების მხოლოდ რაოდენობრივი, ღირებულების გარეშე აღრიცხვის სისტემასთან.

1.3 მატერიალური მარაგები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენს 806,591,489 ლარს, საიდანაც 96% **სამინისტროს აპარატის** მარაგებია.

1.3.1 მარაგების აღრიცხვისა და კონტროლის ნაკლოვანებები

ქვედანაყოფების საწყობებიდან გაცემული მარაგები გასავლის ზედდებულების საფუძველზე ჩამოიწერება ხარჯად, არ არსებობს შუალედური რგოლი საწყობიდან გასულ მარაგებზე მატერიალური პასუხისმგებლობისთვის. შედეგად, საცნობარო მუხლზე არსებული 61,999,766 ლარის[23] მარაგების გარკვეული ნაწილი, რომლის ღირებულებითი ეფექტიც ვერ დგინდება, წარმოადგენს ფაქტობრივად გაუხარჯავ, ერთჯერადი გამოყენების მარაგებს, რაც ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს მარაგის სახით. გაცემის შემდგომ გაუხარჯავი მარაგები ბრუნდება საწყობში და ხდება ხარჯის უკუგატარება.[24] სამინისტროს განმარტებით, 2022 წლიდან დაწყებულია მუშაობა აღნიშნული ნაკლოვანების აღმოსაფხრელად.

სამინისტროს აპარატში მარაგების მოძრაობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა ფასების დადგენასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამო,[25] ხშირ შემთხვევაში გვიანდება, რის გამოც მათი აღრიცხვა არ ხდება შესაბამის საანგარიშო პერიოდში, ზოგ შემთხვევაში კი მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია ღირებულების განსაზღვრა, რის გამოც მიღება და ხარჯვა წარმოებს ღირებულების გარეშე:

- **სამინისტროს აპარატმა** 2008 წელს გახარჯული სპეციფიკური აქტივები, ღირებულებით - 4,826,582 ლარი,[26] ჩამოწერა 2021 წელს;
- 2019-2020 წლებში ქვედანაყოფებში მიღებულია მარაგები ღირებულების გარეშე,[27] რომელთა ფასების დადგენა[28] და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელდა 2021 წელს;
- ერთ-ერთ ქვედანაყოფს 2021 წლის ბოლოს ნაშთად ერიცხება 2007 და 2011 წლებში მიღებული[29] 4,903,645 ლარის სათადარიგო ნაწილების კომპლექტი, რომლის ღირებულებაც მიღების შემდგომ არ შეცვლილა. მარაგი აღრიცხულია კომპლექტის სახით, ერთი დასახელებით და არა - მაკომპლექტებელი ნაწილების ღირებულების მიხედვით, მარაგნაწილების ხარჯვა წლების განმავლობაში წარმოებს ღირებულების გარეშე. შესაბამისად, ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არარეალურია;
- 2007-2011 წლებში სამინისტრომ მიიღო 15,004,719 ლარის მატერიალური ფასეულობები, რომლებიც შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული არ იყო,[30] ასევე, 2021 წელს შპს „დელტა მშენებელისგან“ 1,245,000 ლარის მარაგების[31] მიღება, ნაცვლად მარაგების ანგარიშისა, ასახა ხარჯის სახით. 2021 წლის

[23] ბალანსის საცნობარო მუხლის ანგარიშს („ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“) გამოკლებული არასწორად კლასიფიცირებული მარაგები (70,862,464-8,862,798=61,999,666 ლარი).
[24] 2021 წელს, სააღრიცხვო ჩანაწერების მიხედვით, საწყობში დაბრუნებულია 2,124,338 ლარის მარაგები.
[25] ვალუტაში შესყიდული საქონლის დაგვიანებით განფასება, იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადის თანხის დაგვიანებით განაწილება ღირებულებაზე, კომპლექტაციის სახით მიღებული მარაგების ფასის დადგენა დაგვიანებით.
[26] 12 ერთეული.
[27] მიღების დოკუმენტაციაში ფასები მითითებულია უცხოურ ვალუტაში, ფასების კონვერტაცია და მათი ქვედანაყოფებისთვის გადაგზავნა ხდება სამინისტროდან, შესაბამისი წერილის საფუძველზე.
[28] 16,070,158 ლარი.
[29] სზ N35(08.05.2007) - 596,463 ლარი, ზედდებული Nს/1(28.03.2011) - 4,307,180 ლარი.
[30] დებიტორული დავალიანების შემსწავლელი კომისიის ოქმები: N7(23.06.2021), N8(18.08.2021), N9(25.10.2021), N10(10.11.2021); 12ს(22.12.2021).
[31] მატრასები.

31 დეკემბრის მდგომარეობით უცნობია, აღნიშნული აქტივებიდან რა ნაწილი გაიხარჯა და რა ნაწილი დარჩა ნაშთის სახით.

მარაგების კონტროლთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2015-2017 წლებში შესყიდული 861 ერთეული 753,988 ლარის ღირებულების[32] სათადარიგო ნაწილები საგარანტიო ვადის ამოწურვამდე გამოვიდა მწყობრიდან, ნაკლოვანებებზე არ მომხდარა დროული რეაგირება, რის გამოც, სავარაუდოდ, სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს ძიებას.[33]

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **დელტას** მარაგები[34] მოიცავს წლის განმავლობაში უძრავ 11,120,976 ლარის ნაშთს, რომელიც მარაგების დაახლოებით 47%-ს შეადგენს, იგივე მაჩვენებელი 2020-2021 წლებში 7,639,322 ლარს შეადგენს, რაც მოიცავს ფაქტობრივად არარსებულ, არასწორად კლასიფიცირებულ და ისეთ მარაგებს, რომელიც გადაცემულია ან გახარჯულია, თუმცა დოკუმენტაცია შედგენილი არ არის, მაგალითისთვის:

- 2019-2020 წლებში ფაქტობრივად გახარჯული 2,033,626 ლარის სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტა ბუღალტრულად ჩამოწერილია 2021 წელს;
- მარაგების ნაშთი მოიცავს 5 ერთეულ მოდიფიცირებულ ჯავშანტექნიკას, ღირებულებით - 936,024 ლარი, საიდანაც 3 ერთეული გადაცემულია თავდაცვის სამინისტროსთვის, შესაბამისად, უნდა ირიცხებოდეს სამინისტროს ბალანსზე, როგორც ძირითადი აქტივი, თუმცა ღირებულების კალკულაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, 2021 წლის ბოლოს კვლავ **დელტას** ბალანსზეა ასახული. წარმოდგენილი ინფორმაციით, ამჟამად მზადდება ფინანსური დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მოხდება აქტივის სამინისტროსთვის გადაცემა და სწორად კლასიფიცირება ძირითადი აქტივების ანგარიშზე. დანარჩენი 2 ერთეული წარმოადგენს სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენებად ძირითად აქტივს.[35] შესაბამისად, ზემოაღნიშნული აქტივები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია არასწორად;[36]
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **დელტაში** ირიცხება 2011 წელს მიღებული 1,628,423 ლარის ღირებულების 170.80 ტონა მარაგი,[37] რომელზეც, სააღრიცხვო მონაცემების მიხედვით, მიღების თარიღიდან ბრუნვა თითქმის არ ფიქსირდება.[38] **დელტას** მიერ 2022 წლის 21 ნოემბერს[39] ჩატარებული აღწერით, ფაქტობრივად არსებული მარაგი 115.48 ტონით ნაკლებია საბუღალტრო მონაცემებზე. აღსანიშნავია, რომ მარაგების ხარჯვის მიზნობრიობას და ნაშთის სისწორეს სწავლობს **დელტას** შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დანაკლისის წარმოშობის მიზეზია წლების განმავლობაში მარაგების ხარჯვის დოკუმენტაციის არასრულყოფილი წარმოება, რასაც ახორციელებდა **დელტას** მმართველობაში 2013 წლამდე შემავალი შპს

[32] ხელშეკრულება N16/68 (16.09.2016) - 224,640 აშშ დოლარი (მიღების თარიღით: 26.12.2016 არსებული კურსით: 622,477 ლარი), ხელშეკრულება N469 (30.06.2015) და N493(09.07.2015) – 131,510 ლარი.
[33] წერილი NMOD 9 22 01022682, 05.09.2022წ.
[34] 23,901,073 ლარი.
[35] 1 ერთეული გამოიყენება მაკეტის სახით, მეორე - სატესტო პროცედურებისთვის.
[36] კლასიფიცირებული უნდა იყოს ძირითადი აქტივების ანგარიშზე.
[37] ზედდებული N304/19/M: 6 სხვადასხვა ზომის ფოლადის წნელი.
[38] სხვაობა არის მხოლოდ 0.66 ტონა.
[39] ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი N03153, 22.11.2022 (გრიფით: „საიდუმლო“).

„თბილავიამშენი". მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოაღნიშნული მარაგის ნაშთი არარეალურია.

დელტაში დაუმთავრებელი წარმოების/მზა პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების და აღიცხვის მიმართულებით ვლინდება შემდეგი ნაკლოვანებები:

- ბუღალტრულ ჩანაწერებში დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე აისახება მხოლოდ მარაგების ხარჯები, რაც შეუსაბამოა წარდგენის საფუძვლებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,[40] რომლის მიხედვითაც დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯი, გარდა მასალისა, უნდა მოიცავდეს შრომით და მუდმივ/ცვლად ზედნადებ დანახარჯებს. დელტას განმარტებით, მიმდინარე პერიოდიდან აღნიშნული ნაკლოვანება გამოსწორებულია;
- თითოეული შეკვეთის შემთხვევაში, მარაგები ცენტრალური საწყობიდან გადადის საწარმოს საწყობზე და შემდგომ - საწარმოო უბანზე, თუმცა ამ უკანასკნელ რგოლზე მარაგის გადაცემა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშის ზრდა, საერთოდ არ აღირიცხება და მარაგი კვლავ საწყობზე ირიცხება, ჩამოწერა კი ხდება ჩამოწერის აქტის შედგენის და შეკვეთის დახურვის შემდგომ, რაც დროში შესაძლოა მნიშვნელოვნად გახანგრძლივდეს.

კონტროლის აღნიშნული ნაკლოვანებები ვერ უზრუნველყოფს მარაგების დროულ და ზუსტ აღრიცხვას, რის გამოც **დელტას** დაუმთავრებელი წარმოების და მზა პროდუქციის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,[41] არ ასახავს რეალურ მაჩვენებელს, ასევე შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს თითოეული შეკვეთის შემთხვევაში დანახარჯები და შესაბამისად, ფინანსური შედეგი.

1.3.2 ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული მარაგები

სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური მარაგების შეფასებასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით, მაგალითად:

- 2020-2021 წლებში სამინისტრომ ბალანსიდან ჩამოწერა 60,215,380 ლარის[42] ისტორიული ღირებულების[43] მქონე სპეციფიკური აქტივი, ჩამოწერის შედეგად მიღებული ვარგისი დეტალები აღრიცხვაზე აყვანილია ღირებულების გარეშე მეორადი მარაგნაწილების სახით;[44]
- ერთ-ერთ ქვედანაყოფს მეორადი მასალების საწყობში ღირებულების გარეშე აქვს აღრიცხული 2018-2019 წლებში 10 ერთეული[45] სამხედრო ტექნიკის დაშლის შედეგად მიღებული, შემდგომი გამოყენებისათვის ვარგისი მასალები.[46] სამინისტროს განმარტებით, ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული სირთულის გამო, ვერ ხდება მათი შეფასება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქვედანაყოფებში ღირებულების გარეშეა ასახული 37,000-მდე დასახელების 127,493,500 ერთეულამდე მარაგი,[47] ასევე **დელტას** 2021 წლის ბოლოს ღირებულების გარეშე აქვს ასახული 290-მდე

[40] სსბასს 12, მატერიალური მარაგები, პუნქტი 20.
[41] 4,080,404 ლარი.
[42] 2020 წელს ჩამოწერილია 23,391,754 ლარი, 2021 წელს - 36,823,626 ლარი.
[43] გრიფით „საიდუმლო“ ხელშეკრულება N475 (10.05.2006).
[44] მაგალითად, სადემონსტრაციო და სავარჯიშო მოდელები.
[45] 2018 წელს - 4 ერთეული, 2019 წელს - 6 ერთეული.
[46] კვანძები, აგრეგატები, სათადარიგო ნაწილები.
[47] საიდანაც 96% (122,825,145 ერთეული) სამხედრო დანიშნულების მარაგებია (ვაზნები).

დასახელების 407,657 ერთეულამდე მარაგი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, შემფასებელ ორგანიზაციასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფს აქტივების შეფასებას 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებაა სპეციფიკური დანიშნულების აქტივების მხოლოდ რაოდენობრივი აღრიცხვა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების სიზუსტეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „მატერიალური მარაგების" მუხლის საბოლოო ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე.

1.4 ძირითადი აქტივები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთები შეადგენს, შესაბამისად, 2,674,113,750 ლარს და 2,776,243,513 ლარს. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

1.4.1 შენობა-ნაგებობები

სამინისტროს ბალანსზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 50,634,864 ლარის ღირებულების საცხოვრებელი შენობები, საიდანაც 8,343,457 ლარი მოდის სამხედრო ყაზარმებზე. ამ კატეგორიის უძრავი ქონების დიდი ნაწილი ასევე ირიცხება არასაცხოვრებელი შენობების ჯგუფში, შესაბამისად, ყაზარმების კლასიფიკაციასთან მიმართებით არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა. დანარჩენი 42,117,863 ლარის ღირებულების შენობების დიდი ნაწილი იმყოფება სამხედრო მოსამსახურეების და სხვა კერძო პირების ფაქტობრივ სარგებლობაში და ექვემდებარება მოსარგებლეების წერილობითი განცხადების და საქართველოს მთავრობის დადგენილებით[48] განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისიური წესით პრივატიზებას და ბალანსიდან ჩამოწერას. გარდა ამისა, სამინისტროს 1,148,117 ლარის საბალანსე ღირებულების არასაცხოვრებელი შენობები,[49] დანგრეულია და აღარ ფუნქციონირებს;

დელტას შენობა-ნაგებობების ნაწილის[50] სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში შენობები წარმოდგენილია მხოლოდ ნუმერაციით, შესაბამისი ფართების მითითების გარეშე, ასევე დოკუმენტაციაში ასახულია რამდენიმე დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა.[51]

სამინისტროს და **დელტას** აქტივების რეესტრი მოიცავს მხოლოდ თანხობრივად აღრიცხულ შენობა-ნაგებობებს, არ არის მითითებული კონკრეტული ნაგებობების ფართობები და საკადასტრო კოდები, რის გამოც მათი იდენტიფიცირება და ფაქტობრივ მონაცემებთან შედარება გართულებულია. **დელტას** განმარტებით ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2022 წელს ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

1.4.2 მიწა

სამინისტროს ბალანსზე არსებულ მიწებთან მიმართებით გამოვლენილია შემდეგი გარემოებები:

[48]დადგენილება N445(17.07.2020): სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

[49] საინვენტარიზაციო დოკუმენტაციის თანახმად, ქ. თბილისსა და ქ.გორში მდებარე შენობები.

[50] ქ თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N191ᴱ, ს/კ: 01.17.14.009.001.

[51] 13 ერთეული დანგრეული შენობა.

- არ არის დარეგისტრირებული სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული 746.08 ჰა 70,139,998 ლარის საბალანსე ღირებულების მიწა,[52] ხოლო 7,458,473 ლარის ღირებულების 183.93 ჰა მიწა მის ფაქტობრივ სარგებლობაში არ იმყოფება;[53]
- არ არის შეფასებული და ღირებულებით ბალანსზე ასახული სამინისტროს სარგებლობაში არსებული 292.65 ჰა მიწა;[54]
- **დელტას** ბალანსზე ირიცხება 9,476,834 ლარის ღირებულების, შპს „თბილავიამშენისგან“ 2013 წელს უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე გადმოცემული მიწა.[55] მიუხედავად გადმოცემის შემდგომ სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული არაერთი ცვლილებისა, რის შედეგადაც ამჟამინდელი რეგისტრირებული ფართი 2013 წელთან შედარებით, 2.72 ჰა-ით ნაკლებია,[56] მიწის საბალანსე ღირებულება არ შეცვლილა. მაგალითად, 2021 წელს **დელტამ** შპს „დელტა-სი-ეი-ეის“ გადასცა მიწა და მასზე დამაგრებული შენობა,[57] თუმცა აქტივების ჩამოწერის ოპერაცია ბუღალტრულად არ ასახულა;
- დაურეგისტრირებელია **დელტას** სარგებლობაში არსებული, კახეთის რეგიონში სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე 11 ერთეული, სეტყვასაწინააღმდეგო დანადგარებისთვის საჭირო მიწა, ასევე არ არის შეფასებული 74 ერთეული, 3.04 ჰა საცეცხლე წერტილი;[58]
- **ინსტიტუტი „ოპტიკას“** სარგებლობაში არსებული 0,29 ჰა მიწა დაურეგისტრირებელია, მათი ტერიტორიის ნაწილი რეგისტრირებულია, როგორც კერძო კომპანიის საკუთრება.[59]

სამინისტროს ბალანსზე ასევე ირიცხება ის მიწები, რომელზეც დამაგრებულია ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული შენობები, თუმცა ღირებულებით ვერ იმიჯნება მიწის ზუსტი მოცულობა.[60] სამინისტროს განმარტებით, დაწყებულია მუშაობა აღნიშნული პრობლემისს აღმოსაფხვრელად.

1.4.3 სრულად ამორტიზებული და ღირებულების გარეშე ასახული აქტივები

სამინისტროს ძირითადი აქტივები მოიცავს ღირებულების გარეშე აღრიცხულ 7,250 ერთეულამდე აქტივს და 281,000,000 ლარზე მეტი ისტორიული ღირებულების მქონე სრულად ამორტიზებულ გამოყენებად ქონებას, რომელიც არ არის ღირებულებით შეფასებული, მათ შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

ცხრილი N5. *ინფორმაცია სამინისტროს ფასგარეშე და სრულად ამორტიზებულ აქტივებზე*

N	ანგარიში	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება
1	1-22-0000	შენობა-ნაგებობები	1,085	21,025,261
2	1-22-2100	სატრანსპორტო საშუალებები	493	96,845,768
3	1-22-2200	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,763	62,210,619
4	1-22-2300	სამხედრო იარაღის სისტემები	3,889	96,983,350
5	1-20-0000	სხვა ძირითადი აქტივები	20	4,592,429
	ჯამი		**7,250**	**281,657,428**

[52] აღმოსავლეთის ლოჯისტიკის ცენტრი: 332.93 ჰა -1,447,111 ლარი; დასავლეთის ლოჯისტიკის ცენტრი: 413.15 ჰა - 68,692,887 ლარი.

[53] უმოქმედოა, ტერიტორიის ნაწილი კერძო საკუთრებაშია, ნაწილი - დაკავებულია უკანონოდ, ნაწილი - რეგისტრირებულია აჭარის ა/რ სარგებლობაში.

[54] აღმოსავლეთის ლოჯისტიკის ცენტრის მიწები

[55] მისამართი: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N191ᴰ - 55.93 ჰა.

[56] თავდაპირველი ფართი - 55.92 ჰა, ბოლო სარეგისტრაციო მონაცემებით -53.21 ჰა.

[57] მისამართი: ქ თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N191ᴰ, ს/კ: 01.17.14.009.001, N25 შენობა და მასზე დამაგრებული მიწა,

[58] მაგალითად, აკლია ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა, გაგზავნილია დასარეგისტრირებლად, გასაფორმებელია აღნაგობის ხელშეკრულება და ა.შ.

[59] დელტას განმარტებით, ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2021 წელს წერილი გაგზავნილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, თუმცა პასუხი დღემდე არ არის მიღებული.

[60] მიწების ნაწილი წარმოადგენს პრივატიზებული შენობების ფართის გარე ნაწილს.

აღნიშნული აქტივების დიდი ნაწილი სამინისტროს მიერ კვლავ გამოიყენება, თუმცა არ არის ღირებულებით შეფასებული. შესაბამისად, ძირითადი აქტივების ნაშთი წარმოდგენილია შემცირებულად, გარდა ამისა, სრულად ამორტიზებული აქტივები მოიცავს 81,000,000 ლარამდე ისტორიული ღირებულების მქონე 2020-2021 წლებში ამორტიზებულ ძირითად საშუალებებს, რომლებზეც არ მომხდარა სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვა, ინსტრუქციის შესაბამისად.[61]

1.4.4 გამოუყენებელი აქტივები

დელტას არამატერიალური აქტივების[62] ანგარიშზე ირიცხება 4,568,178 ლარის აქტივი. აღნიშნული უკავშირდება **დელტასა** და ესტონურ კომპანიებს შორის 2011 წელს გაფორმულ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა კონსორციუმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების შესაძლებლობების განვითარება. აქტივი მოიცავს როგორც შემადგენელ დანადგარებს (მათ შორის, მართვის სისტემას), რომლებიც დაშლილ მდგომარეობაში დასაწყობებულია, ასევე **დელტას** წარმოების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით შესყიდულ მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც ჩატარებულია ტრენინგები. შესაბამისად, შეუძლებელია აქტივისა და მომსახურების ერთმანეთისგან გამიჯვნა. აღნიშული აქტივი დღემდე გამოუყენებელია და გაურკვეველია, მისგან რაიმე სახის სარგებლის მიღება მოსალოდნელია თუ არა. წარმოდგენილი ინფორმაციით, საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.[63]

დელტას სხვა არაფინანსური აქტივების[64] ანგარიშზე რიცხული 2,001,459 ლარის სამუშაოები უკავშირდება **დელტასა** და შპს „სამშენებლო კომპანია-მშენებელი 2011“-ს შორის 2013 წლის[65] ხელშეკრულების ფარგლებში სამშენებლო მასალების შესყიდვას. როგორც დგინდება, 2013 წელს აღნიშნული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე ანგარიშების წარდგენა დაევალა **დელტას** დაქვემდებარებაში მყოფ საინჟინრო სამსახურს,[66] თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი საინჟინრო სამსახურის შესრულებული სამუშაოების პირველადი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ვერ მოხდა აღნიშნული სამუშაოს ზუსტი მოცულობის შეფასება და თავდაცვის სამინისტროსთვის გადაცემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.[67]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი აქტივების მუხლის საბოლოო ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე.

1.5 დებიტორული დავალიანება

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების ნაშთი შეადგენს 426,608,759 ლარს, რომლის დაახლოებით 93% აპარატის მოთხოვნებია, მათ შორის, 235,885,643 ლარი წარმოადგენს 2007-2018 წლებში წარმოშობილ დავალიანებებს. მუხლთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

[61] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 5, პუნქტი 1.
[62] ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები.
[63] საქმე 2012 წელს აღძრულია სამინისტროს სამხედრო პოლიციის მიერ.
[64] დაუმთავრებელი მშენებლობა.
[65] N04 ხელშეკრულება, 20.05.2013.
[66] 2013 წლის 13 მაისის N031 ბრძანებით.
[67] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 28 აპრილის N01982 წერილის მიხედვით.

- 2007-2012 წლებში წარმოშობილ 142,739,807 ლარის დავალიანებებზე სამართალდამცავ ორგანოში მიმდინარეობს გამოძიება;[68]
- 13,220,444 ლარი წარმოადგენს შპს „თბილავიამშენის“ მიმართ 2011-2013 წლებში წარმოშობილ მოთხოვნას, რომლის შესწავლის მიზნით მთავრობის განკარგულებით[69] შექმნილია სამთავრობო კომისია, თუმცა დასკვნა წარმოდგენილი არ არის;
- 2008-2021 წლებში წარმოშობილ 40,021,858 ლარის დავალიანებებზე მიმდინარეობს სასამართლო დავა;[70]
- 2013 წელს წარმოშობილი 1,101,111 ლარის დავალიანებაზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამინისტროს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.[71]

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2007-2012 წლებში წარმოშობილი 25,298,046 ლარის მოთხოვნების უმრავლესობაზე არ არსებობს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე არ ფიქსირდება ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმდინარე/დასრულებული სასამართლო დავები. მინისტრის ბრძანების[72] საფუძველზე 2020 წელს შექმნილია დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შემსწავლელი კომისია, რომელიც სწავლობს აღნიშნულ დავალიანებებს დოკუმენტურად, ხანდაზმულობის ფაქტორის და სპეციფიკის გათვალისწინებით, წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შესაბამისი ბრძანებით ხდება დავალიანებების საცნობარო მუხლზე გადატანა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **ჰოსპიტალში** სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 5,024,809 ლარს შეადგენს, რაც ძირითადად ჯანდაცვის სამინისტროს,[73] სადაზღვევო კომპანიების და ფიზიკური პირების მიმართ არსებული მოთხოვნებია. ჯანდაცვის სამინისტროს **ჰოსპიტალის** მიმართ ვალდებულება აღიარებული აქვთ 1,095,537 ლარით ნაკლები ოდენობით. სადაზღვევო კომპანიების მიმართ მოთხოვნების დაგროვების ძირითადი მიზეზია მათი მხრიდან შესრულებული სამუშაოს ღირებულებების ცალმხრივი კორექტირება, რასაც **ჰოსპიტალი** არ ეთანხმება. მთლიანი მოთხოვნების, დაახლოებით, 24% - 1,228,969 ლარი წარმოადგენს 2008-2018 წლებში წარმოშობილ დავალიანებებს, საიდანაც სასამართლო დავა წარმოებს მხოლოდ 64%-ზე, 788,238 ლარის დავალიანებაზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვერ ვრწმუნდებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 426,608,759 ლარის დებიტორული დავალიანების სიზუსტეში.

[68] 97,251,436 ლარი: გენერალური პროკურატურის წერილები გრიფით „საიდუმლო“: 15.12.2021წ, N813-2545(02.08.2018); 45,488,371 ლარი - იუსტიციის სამინისტროს წერილი N157-ს (07.11.2019): საქმეზე სამართალდამცავ ორგანოში მიმდინარეობს ძიება, დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც კი არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების რისკები, გამომდინარე აღნიშნულიდან, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საარბიტრაჟო დავის დაწყების მიზანშეწონილობის საკითხი.

[69] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის N600 განკარგულება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 16 აგვისტოს N1-1/439 ბრძანება.

[70] დარიცხული ჯარიმებით მოთხოვნები, საქონელი და მომსახურების/არაფინანსური აქტივების მოწოდებაზე გადახდილი ავანსები.

[71] მოპასუხე: შპს „მშენებელი 2011“, უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება.

[72] თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის NMOD12000000339 ბრძანება: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე რიცხული დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“.

[73] სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

1.6 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ნაშთი შეადგენს 19,118,299 ლარს, აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

- სამინისტროს მიერ 2021 წელს სახელმწიფო საწარმოებში არსებული წილები კონსოლიდირებულია კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით,[74] კონტროლირებული საწარმოების მიერ 2022 წლის დასაწყისში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით. აუდიტის მიმდინარეობისას 1 კომპანიის[75] ანგარიშგება არ იყო დამტკიცებული, ხოლო 4 კომპანიის[76] დამტკიცებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალის ჯამური ნაშთი 786,974 ლარით ნაკლებია თავდაპირველად წარდგენილ ანგარიშგებაში არსებულ ნაშთზე, შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება გრძელვადიანი ფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთის სიზუსტეზე;
- 2021 წელს **დელტამ** ახლადდაფუძნებულ შპს „დელტა სი ეი ეის[77]“, სადაც ფლობს 25%-იან წილს, ავანსის სახით გადაურიცხა 6,222,250 ლარი, რაც შპს-მ შეცდომით ასახა კაპიტალში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **დელტამ** შეტანილი თანხის 25%-ით, 1,555,563 ლარით გაზარდა გრძელვადიანი ფინანსური აქტივის ნაშთი;
- შპს „დელტა ინტერნეიშენალი“ და შპს „დელტა მშენებელი“ **დელტას** მიერ კაპიტალში შეტანილ თანხებს, ნაცვლად კაპიტალისა, აღრიცხავენ ვალდებულების ანგარიშზე, აღრიცხვის განსხვავებული მიდგომის გამო, აღნიშნული საწარმოების წილები 2021 წლის ბოლოს სრულად არ არის კონსოლიდირებული, რის გამოც გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ნაშთი წარმოდგენილია 3,125,275 ლარით შემცირებულად;[78]
- სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, **დელტა** ფლობს 50%-იან წილს 2021 წელს დაფუძნებულ შპს „დელტა+“-ში,[79] თუმცა მის შესახებ ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ნაშთი წარმოდგენილია 782,738 ლარით შემცირებული ღირებულებით.

[74] სსბასს 36-ის მიხედვით - სააღრიცხვო მეთოდი, რომელიც გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

[75] შპს „დელტა მშენებელი“.

[76] შპს „დელტა ინტერნეიშენალი“, შპს „დელტა ტექსტილი“, შპს „ქართული კვების კომპანია“, შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა".

[77] ს/ნ 406328200.

[78] შპს „დელტა ინტერნეიშენალი“ და შპს „დელტა მშენებელი“ სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად დელტასგან მიღებულ თანხებს აღრიცხავს ვალდებულებების ანგარიშზე, ხოლო დელტა - გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ანგარიშზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიებში დელტას მიერ განხორციელებული შენატანებიდან ვალდებულების სახით დარჩენილი თანხა ჯამურად შეადგენს 3,124,275 ლარს, რაც არ არის ასახული საწარმოების კაპიტალში და შესაბამისად - სამინისტროს გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ანგარიშზე.

[79] ს/ნ: 406325597, რეგისტრაციის თარიღი: 22.03.2021.

1.7 ვალდებულებები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების ჯამური თანხა შეადგენს 157,414,690 ლარს. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

- ვალდებულების ანგარიშზე არ არის ასახული 2022 წელს გამოწერილი 2021 წლის ამსახველი 8,309,113 ლარის ანგარიშფაქტურები,[80] აღნიშნული ანგარიშფაქტურები დადასტურებულია **სამინისტროს** მიერ, შესაბამისად, იძლევა მტკიცებულებას ანგარიშგების თარიღისთვის ვალდებულების არსებობაზე და წარმოადგენს ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენას;[81]
- **სამინისტროს აპარატს** 6,133,009 ლარის ვალდებულების[82] თანხა, ნაცვლად მოკლევადიანი ვალდებულებისა,[83] კლასიფიცირებული აქვს გრძელვადიანი ვალდებულების ანგარიშზე.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთი 6,133,009 ლარით კლასიფიცირებულია არასწორად, ასევე - შემცირებულია 8,309,113 ლარით.

1.8 შემოსავლები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები შეადგენს 1,132,204,453 ლარს.

შემოსავლის ოპერაციები მოიცავს კორექტირებებს, რომლებიც ნაცვლად წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტულად გასწორებისა,[84] აღიარებულია 2021 წლის ანგარიშგებაში, ასევე - არასწორად კლასიფიცირებულ ოპერაციებს, მაგალითად:

- **სამინისტროს აპარატს** შემოსავლების ანგარიშზე ასახული აქვს მარაგების ფასების კორექტირება და ხარჯების უკუგატარებება 24,086,923 ლარის ოდენობით, ასევე **დელტას** აქტივების რეკლასიფიკაციის თანხა, 1,785,013 ლარის ოდენობით აღიარებული აქვს სხვადასხვა შემოსავლების და სხვადასხვა ხარჯების ანგარიშზე, აღნიშნული ოპერაციები ვერ აკმაყოფილებს შემოსავლად აღიარების კრიტერიუმს;[85]
- სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში დარიცხული ჯარიმებით მისაღები შემოსავლების მუხლში 1,248,924 ლარის თანხა წარმოადგენს 2021 წლამდე წარმოშობილ პირგასამტეხლოს, შესაბამისად, შემოსავალი უნდა მიეკუთვნოს წინა პერიოდებს;
- 2021 წელს სამინისტროს გრანტის სახით მიღებული შემოსავლებიდან გაწეული საკასო ხარჯი 4,454,768 ლარის ოდენობით ასახული აქვს დუბლირებულად,[86] როგორც შემოსავლების, ასევე - ხარჯების ანგარიშზე;[87]

[80] შპს „დელტა მშენებლის“ 2022 წელს გამოწერილი ანგარიშფაქტურები, რომელიც ასახავს 2021 წლის პერიოდს.
[81] სსბასს 14--ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები, განმარტებების მუხლი, პუნქტი 5.
[82] შპს „ჯი თი მოტორსი“.
[83] სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 80.
[84] სსბასს 3 - საღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, პუნქტი 47.
[85] სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, განმარტებების მუხლი, პუნქტი 7 (შემოსავლების და ხარჯების განმარტება).
[86] ერთის მხრივ გრანტების სახით მიღებულ შემოსავლებსა და საქონელი და მომსახურების ხარჯების ანგარიშზე, მეორე მხრივ - შემოსავლები შიდა ტრანსფერებით და შიდა ტრანსფერებით ხარჯების ანგარიშებზე.
[87] სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, განმარტებების მუხლი, პუნქტი 7 (შემოსავლების და ხარჯების განმარტება).

- **დელტას** შპს „დელტა ინტერნეიშენალისგან“ დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი - 1,558,950 ლარი, ნაცვლად საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებისა, აღიარებული აქვს გარე ტრანსფერებიდან მიღებულ შემოსავლების ანგარიშზე.[88]

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შემოსავლები გაზრდილია 31,575,628 ლარით.

1.9 ხარჯები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლი შეადგენს 1,065,450,972 ლარს. მუხლთან მიმართებით ვლინდება არასწორი კლასიფიკაციის და წინა საანგარიშო პერიოდების კორექტირებების შემთხვევები:

1.9.1 არასწორი კლასიფიკაცია, წინა პერიოდის ხარჯები, ხარჯების დუბლირებულად აღრიცხვა

- 2021 წელს ერთ-ერთი ქვედანაყოფის მიერ საქონელი და მომსახურების ხარჯებში არასწორად ჩამოწერილია 8,861,698 ლარის ღირებულების სპეციფიკური ძირითადი აქტივი, ასევე - 2021 წელს შესყიდული 1,245,500 ლარის მარაგი;[89]
- შემოსავლების და ხარჯების დუბლირებულად აღრიცხვის გამო, ხარჯების მუხლი 6,239,781 ლარით[90] გაზრდილად არის წარმოდგენილი (იხ. საკითხი N1.8: შემოსავლები);
- 34,446,369 ლარის ხარჯები[91] ნაცვლად წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტულად გასწორებისა,[92] ასახულია 2021 წელს;
- 2021 წელს დებიტორული დავალიანების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე სამინისტრომ ჩამოწერა 13,350,933 ლარის დებიტორული დავალიანება,[93] რაც მოიცავდა 2007 – 2011 წლებში მიღებულ საქონელსა და მომსახურებას, რომელზეც უკვე არსებობდა შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა არ იყო ბუღალტრულად აღრიცხული. შესაბამისად, ხარჯის თანხა არასწორად არის მიკუთვნებული 2021 წლის საანგარიშო პერიოდს.

1.9.2 დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები

სამინისტროს ერთ-ერთი ქვედანაყოფის საწვავ-საპოხი მასალების 2021 წლის იანვარ-სექტემბრის მოძრაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ამოღებულია სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მიერ,[94] სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიზნით, რის გამოც აღნიშნული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა აუდიტის ჯგუფისთვის ვერ მოხდა. აღნიშნული ქვედანაყოფის **ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი** 2021 წელს 688,957 ლარს შეადგენს.[95]

მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას ზემოაღნიშნული ხარჯების წარმოშობასა და სიზუსტესთან დაკავშირებით.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლი ჯამურად გაზრდილია

[88] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის №17 ბრძანება: „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე,“ მუხლი 45.
[89] მატრასები, N20/127-ს ხელშეკრულება (30.09.2021), შპს „დელტა მშენებელი“.
[90] სამინისტროს აპარატი - 4,454,768 ლარი; დელტა - 1,785,013 ლარი.
[91] გრძელვადიან ფინანსურ აქტივებთან, მარაგებთან, ვალდებულებებთან და ძირითადი აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები.
[92] სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, პუნქტი 47.
[93] კომისიის ოქმები: N7(23.06.2021);N8(18.08.2021); N9(25.10.2021); N10(10.11.2021); 12ს(22.12.2021).
[94] ამოღების ოქმი, 06.01.2021.
[95] ქვედანაყოფის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური რეპორტების შესაბამისად.

64,144,281 ლარით, ხოლო 688,957 ლარის ხარჯის წარმოშობასა და სიზუსტეში აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა.

1.10 ძირითადი აქტივების ცვეთა

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ცვეთის და ამორტიზაციის“ ხარჯი შეადგენს 154,847,814 ლარს. **სამინისტროს აპარატი** ძირითად საშუალებებზე დასარიცხი ცვეთის გაანგარიშებას და დარიცხვას აწარმოებს ელექტრონულ ფაილში, რეესტრის ანალიზით გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- 59,266,807 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითად საშუალებებზე 2020 წლამდე დასარიცხი 35,943,101 ლარის ცვეთა დარიცხულია 2020-2021 წლებში.[96] ასევე, ერთ-ერთი ქვედანაყოფის რეესტრის **სამხედრო იარაღის სისტემების** ჯგუფის აქტივებზე[97] ექსპლუატაციაში შესვლის დროდ მითითებულია 2020 წელი, რაც არ წარმოადგენს სწორ ინფორმაციას ქვედანაყოფის სპეციფიკის და ფუნქციების გათვალისწინებით;
- სამინისტრომ წინა წლების ჯამური ცვეთა 36,823,626 ლარის ოდენობით, ამორტიზებულ და შემდგომი ექსპლუატაციისთვის გამოუყენებელ აქტივს დაარიცხა 2021 წელს;
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარები და ინვენტარის** ანგარიშზე ირიცხება სპეციფიკური აქტივი, ისტორიული ღირებულებით 21,375,057 ლარი, რომელიც 2020 წლის ჩათვლით ირიცხებოდა **დელტას** ბალანსზე და მას ცვეთა არ ერიცხებოდა. აქტივზე საკუთრების უფლება სამინისტროს გადაეცა 2012 წელს. სამინისტროს მიერ ათი წლის ცვეთა[98] მთლიანად დარიცხულია 2021 წელს. შესაბამისად, 2021 წლის ცვეთის ხარჯი გაზრდილია 6,412,517 ლარით;
- სამინისტროს მიერ 2021 წელს ცვეთა არ არის დარიცხული სამხედრო იარაღის სისტემების ანგარიშზე არსებულ 110,632,760 ლარის 12 ერთეულ სპეციფიკურ აქტივზე.[99]

2021 წლის ანგარიშგებაში **დელტას** ასახული აქვს 2019-2020 წლების ცვეთის თანხა - 772,490 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ცვეთის ხარჯის მუხლი წარმოდგენილია 44,008,633 ლარით გაზრდილი ღირებულებით, ასევე, ძირითადი აქტივების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული კონტროლის ნაკლოვანებების გამო, ვერ ვრწმუნდებით ხარჯის მუხლის სიზუსტესა და სისრულეში.

[96] შენობა-ნაგებობები, არამატერიალური აქტივები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები.
[97] ისტორიული ღირებულება - 17,492,351 ლარი, ნარჩენი საბალანსე ღირებულება - 8,654,462 ლარი.
[98] 7,125,019 ლარი.
[99] პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებულ სირთულით, რომლის აღმოსაფხვრელადაც მიმდინარეობს შესაბამის ექსპერტებთან კონსულტაციები.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 შპს „დელტა მშენებელთან“ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე გაფორმებული ხელშეკრულება

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 აგვისტოს N1594 განკარგულების[100] შესაბამისად, სამინისტრომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე[101] 2020 წლის აგვისტოში შპს „დელტა მშენებელთან“ გამარტივებული წესით გააფორმა ხელშეკრულება[102] ქ. თბილისში, მახათას მთაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე 39 ტიპიური კორპუსისგან შემდგარი საცხოვრებელი კომპლექსის, „სამხედრო ქალაქის“ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 96,720,000 ლარი.[103] თავის მხრივ, შპს „დელტა მშენებელმა“ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების სრულად განხორციელების მიზნით, ქვეკონტრაქტის ხელშეკრულება 2020 წლის 30 ოქტომბერს[104] გააფორმა შპს „ანაგთან“,[105] ღირებულებით 92,3776,460 ლარი. ინფორმაცია აღნიშნული ხელშეკრულებების ღირებულებების, განხორციელებული სამუშაოების და გადახდილი თანხების შესახებ მოცემულია ქვემოთ, 2022 წლის აგვისტოს ჩათვლით:

ცხრილი N6. *ინფორმაცია სამხედრო ქალაქის მშენებლობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ (ლარი)*

N	დასახელება	ხელშეკრულება შპს "დელტა მშენებელთან"	ხელშეკრულება შპს „ანაგთან“	სხვაობა
1	სავარაუდო ღირ-ბა	96,720,000	92,376,460	4,343,540
2	შესრულებული სამუშაოს ღირ-ბა	64,371,059	62,511,510	1,859,549
3	გადახდილი თანხები	65,016,169	74,072,053	(9,055,884)

როგორც სამინისტროს, ასევე შპს „დელტა მშენებლის“ მიერ მიმწოდებლის შერჩევა მოხდა გამარტივებული წესით, შესაბამისად, აუდიტმა ვერ მიიღო რწმუნება სამშენებლო სამუშაოებისთვის განსაზღვრული სავარაუდო სახელშეკრულებო ღირებულების კონკურენტულობაზე.[106]

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები სრულად განხორციელებულია ქვეკონტრაქტორი კომპანიის მიერ. ღირებულებებს შორის სხვაობის ძირითად მიზეზია სამუშაოების თვითღირებულებაზე გეგმური დაგროვების განსხვავებული პროცენტული მაჩვენებელი, რაც შპს „დელტა მშენებლის“ შემთხვევაში - 8%-ს, ხოლო შპს „ანაგის“ შემთხვევაში 6%-ს შეადგენს.

აუდიტის მიმდინარეობისას კომპლექსის მშენებლობის შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში ნაჩვენებ სამუშაოთა მოცულობების და მათ შესასრულებლად საჭირო დანახარჯების წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციასთან შედარებით, ასევე მშენებარე ობიექტის ადგილზე დათვალიერებით და შერჩევით ჩატარებული აზომვის შედეგად, გამოვლინდა სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო დანახარჯების არაზუსტად დაანგარიშების ფაქტები, რის შედეგადაც შესრულების დამადასტურებელი

[100] “საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“.
[101] 10[1] მუხლის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი: სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით.
[102] N505 ხელშეკრულება (27.08.2020).
[103] თავდაპირველი ხელშეკრულება გაფორმებულია 22,400,000 ლარზე, რაც მოიცავდა I ეტაპის სამუშაოებისთვის გათვალისწინებულ თანხას, შეთანხმების ოქმი N505/1 (23.04.2022) საფუძველზე თანხა გაიზარდა 96,720,000 ლარამდე.
[104] უნომრო ხელშეკრულება.
[105] ს/ნ 245416401.
[106] სამინისტროს განმარტებით, მომწოდებლის ტენდერის მეშვეობით შერჩევის შემთხვევაში არსებობდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი, ვინაიდან ბაზარზე გაზრდილი ფასების გათვალისწინებით, ტენდერში დაფიქსირებული ფასი ვეღარ შეიცვლებოდა, გამარჯვებული კომპანია ვეღარ შეძლებდა სამუშაოების გაგრძელებას და პროექტი ჩაიშლებოდა.

დოკუმენტაციის ღირებულება გაზრდილია 430,220 ლარით.[107] აღნიშნული თანხა გადარიცხულია შპს „დელტა მშენებლის“ ანგარიშზე. სამუშაოები აუდიტის მიმდინარეობისას არ იყო დასრულებული და შესაბამისად, არ არის გაფორმებული საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, შეიტანოს კორექტირება სამშენებლო კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და ღირებულება შემცირდეს ზემოთ მითითებული თანხის ფარგლებში ან უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.

მიმდინარე ეტაპზე სამინისტროს მიერ შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელ დოკუმენტაციაში დაკორექტირებულია 242,109 ლარის დანახარჯი.[108]

2.2 შრომის ანაზღაურება

2021 წელს **სამინისტროს აპარატის** „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი აპარატის მთლიანი ხარჯის[109] 44.2 %-ს შეადგენს. შრომის ანაზღაურების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N7. *სამინისტროს აპარატის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების დინამიკა წლების მიხედვით (ლარი)*

დასახელება	2019	წილი	2020	წილი	2021	წილი
თანამდებობრივი სარგო	41,776,349	12%	50,168,641	13%	52,831,074	13%
წოდებრივი სარგო	212,728,773	61%	222,783,899	58%	224,104,504	56%
ფულადი ჯილდო	5,447,041	2%	1,594,131	0%	8,458,121	2%
დანამატი	82,159,189	24%	105,386,666	27%	108,493,216	27%
კომპენსაცია	5,368,505	2%	7,253,087	2%	8,496,731	2%
სულ	**347,479,857**	**100%**	**387,186,424**	**100%**	**402,383,645**	**100%**

ფულადი ჯილდოს/დანამატის გაცემასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სამოქალაქო პირების თანამდებობრივი სარგო, სახელფასო დანამატი, საკლასო დანამატი და ფულადი ჯილდო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.[110] 2021 წელს ზემოაღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმასთან შეუსაბამოდ, სამინისტროს ასიგნებებიდან სსიპ-ებში დასაქმებულ მოსამსახურეებზე[111] გაცემულია 73,000 ლარამდე ფულადი ჯილდო/დანამატი. მიუხედავად იმისა, რომ თანხა არ არის რაოდენობრივად არსებითი, წარმოადგენს კონტროლის ნაკლოვანებას, რომლის აღმოსაფხვრელადაც მნიშვნელოვანია შესამამისი ღონისძიებების შემუშავება.

დანამატები და მის დასაბუთებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მოქმედი კანონის თანახმად,[112] სახელფასო დანამატი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და

[107] კოშკურა ამწის აწყობა-დაშლის სამუშაოები, შიდა კედლების მოწყობაზე არმატურის მოწყობის სამუშაობი, მონოლითური რკინაბეტონის მოწყობა - შედუღების აპარატის ხარჯი, პანდუსის და ბაქნის მონოლითური რკინაბეტონის კედლების მოწყობა.

[108] შპს „დელტა მშენებელს“ განსხვავებული პოზიცია აქვს შედუღების აპარატის მუშაობასთან დაკავშირებულ ხარჯებთან მიმართებით, რაც დანარიცხების ჩათვლით 146,787 ლარს შეადგენს.მათი განმარტებით, არსებული სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, კომპანიას ჰქონდა შესაძლებლობა აღნიშნული ხარჯის ჩვენების, თუმცა ხარჯთაღრიცხვის და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში აღნიშნული არ ფიქსირდება.

[109] 595,321,730 ლარი (29 01, 29 02 04, 29 06 01, 29 09 01 01).

[110] მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის N1 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 3.

[111] აკადემია - 71,000 ლარამდე, ლიცეუმი - 1,850 ლარამდე, წულუკიძის ინსტიტუტი - 625 ლარი.

[112] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2, პუნქტი 2, „დ“ ქვეპუნქტი.

დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრულ თანხას.

2021 წელს დაახლოებით 233 მოსამსახურეზე „საიდუმლო“ გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე დარიცხულია 5,160,000-ლარამდე დანამატი, მათ შორის 286,672 ლარი დარიცხულია სამინისტროს სსიპ-ების მოსამსახურეებზე.[113] ამასთანავე, აღნიშნული დანამატები არ არის სათანადოდ დასაბუთებული.[114]

2021 წელს 160,000 ლარზე მეტი დანამატი დარიცხულია 83 მოსამსახურეზე[115] ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისთვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში მოსამსახურეზე წლის განმავლობაში გარკვეული თვეების მიხედვით გაცემულია ერთი და იმავე ოდენობის დანამატი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი თვის დანამატის გაცემის შემთხვევაში გამოცემულია მინისტრის ბრძანება, ბრძანებებში სათანადოდ არ არის დასაბუთებული დანამატის გაცემის საფუძველი.[116]

სამინისტროს ქვედანაყოფებისაგან დანამატების შესახებ ინფორმაცია, გარდა წელთა ნამსახურებისა, ფინანსების მართვის დეპარტამენტს წარედგინება ჯამური სახით. შესაბამისად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია არსებობდეს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული უზუსტობის რისკები.

ფულადი ჯილდო

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს.[117] რამდენიმე შემთხვევაში **სამინისტროს აპარატსა**[118] და **ჰოსპიტალში** არ არის დაცული ზემოაღნიშნული ნორმა.[119] ხელმძღვანელობის განმარტებით, **ჰოსპიტალის** შემთხვევაში ზღვრების დაანგარიშება ხდება ელექტრონულ ფაილებში, სადაც ლიმიტების გადამოწმების დროს ადგილი ჰქონდა მექანიკურ შეცდომას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ არის მატერიალურად არსებითი, საჭიროა შესაბამისი კონტროლის მექანიზმის შემუშავება.

2021 წელს „საიდუმლო“ გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დარიცხულია 154,150 ლარის ფულადი ჯილდო.[120] აღნიშნულ

[113] აკადემია - 226,172, ლიცეუმი - 60,500 ლარი.
[114] ბრძანების გამოცემის საფუძველი/მოტივი.
[115] რომლებიც არ წარმოადგენენ სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირებს. (27 - შტატგარეშე - 14,147.80 ლარი).
[116] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 5, პუნქტი 5.
[117] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 28.
[118] ფულადი სარგო მოიცავს მხოლოდ თანამდებობრივს,რომლებიც არ წარმოადგენდნენ სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირებს (17 პირი).
[119] სამინისტროს აპარატში 15 თანამშრომელზე, ჰოსპიტალში - 25 თანამშრომელზე, ჯამურად დაახლოებით 9,300 ლარით მეტი.
[120] მათ შორის 23,750 ლარი სსიპ-ზე: სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია - 11,250 და სსიპ-გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი 12,500 ლარი.

ბრძანებებში ფულადი ჯილდოს გაცემის მოტივი და საფუძველი არასათანადოდ არის დასაბუთებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანამატების და ფულადი ჯილდოს გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სათანადო დასაბუთებას.

2.3 აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაციის განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2021 წელს ინვენტარიზაცია არასრულყოფილად და ნაკლოვანებებით ჩატარდა, კერძოდ:

- **სამინისტროს აპარატს** 2021 წელს არ ჩაუტარებია ვალდებულებების ინვენტარიზაცია;[121]
- **დელტაში** 2021 წელს არ ჩატარებულა მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია;
- **აკადემიაში** 2021 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი გარემოებები სრულად არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში;[122]
- **სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის** მიერ ჩატარებული ინვენტარიზაცია დასრულებულია 2021 წლის 14 ივლისს.[123] შესაბამისად, ინვენტარიზაცია არ მოიცავს მთლიან საანგარიშო პერიოდს, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რომლის მიხედვითაც, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა საანგარიშო პერიოდის 1 სექტემბრის შემდგომ.[124]

2.4 მარაგების კონტროლთან დაკავშირებული სხვა ნაკლოვანებები სამინისტროსა და დელტაში

დელტას არ აქვს ლოგისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, მოძრაობასა და კონტროლს. ცენტრალურ საწყობში მიღებული მასალები აღირიცხება Excel-ის ფაილებში. მასალები საწარმოებს გადაეცემა შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე და ფორმდება მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. აღრიცხვის პროცესი სრულად მანუალურია როგორც ცენტრალურ საწყობში, ასევე საწარმოს სხვა საწყობებში. წარმოებიდან დარჩენილი ნედლეული ბრუნდება ცენტრალურ საწყობში. **დელტას** საწარმოების საცავებში ინახება არა მარტო მისი მატერიალური მარაგები, არამედ დაკავშირებული მხარეების აქტივები, რომელთა იდენტიფიცირება და გამიჯვნა რიგ შემთხვევებში შეუძლებელია.

სამხედრო ქვედანაყოფებში არ არის დანერგილი ფასეულობების აღრიცხვის სპეციალიზებული პროგრამა და არ წარმოებს ანალიზური აღრიცხვა. ქვედანაყოფები ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ნაცვლად Microsoft Excel-ში აწარმოებენ ძირითადი აქტივების და მარაგების მხოლოდ რეესტრს (ნაშთები კი გადადის სპეციალიზებული წიგნებიდან, სადაც მოძრაობა იწარმოება ხელით), მათი ჯამური მონაცემების აღრიცხვა (მხოლოდ თანხობრივად) ხორციელდება სამინისტროს საბუღალტრო სამსახურის მიერ,

[121] მინისტრის ბრძანების საფუძველზე 2020 წელს შექმნილია დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შემსწავლელი კომისია, რომელიც სწავლობს აღნიშნულ დავალიანებებს დოკუმენტურად, ხანდაზმულობის ფაქტორის და სპეციფიკის გათვალისწინებით, წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შესაბამისი ბრძანებით ხდება დავალიანებების საცნობარო მუხლზე გადატანა.

[122] ინვენტარიზაციის ოქმი N872, 29.12.2021.

[123] ინვენტარიზაციის აქტი N3, 14.03.2021.

[124] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", მე-2 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად "ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, გარდა: ა) იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ჩატარდა საანგარიშგებო წლის 1 სექტემბრის შემდეგ."

	რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს.
2.5 მიუღებელი შემოსავლები	სამინისტროს ტერიტორიაზე განთავსებულია 22 სავაჭრო აპარატი,[125] რომლებზეც არ არის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. შესაბამისად, სამინისტრო აღნიშნული წყაროდან შემოსავლებს არ იღებს. სავაჭრო აპარატების იჯარის გარეშე განთავსება ფიქსირდება ასევე სამინისტროს რამდენიმე ქვედანაყოფში. **დელტას** საკუთრებაში არსებული სასაწყობე ფართის[126] ნაწილზე განთავსებულია სს „თამ თბილავიამშენის“ კუთვნილი მატერიალური ფასეულობები, შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულების გარეშე.
2.6 მიმდინარე რემონტის ხარჯები	**დელტა** მიმდინარე შიდა სარემონტო სამუშაოებს ასრულებს უშუალოდ თავისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით. 2021 წელს მიმდინარე რემონტზე გაწეული მასალების ხარჯი[127] **დელტაში** შეადგენს 271,206 ლარს. ორგანიზაციაში შიდა სარემონტო სამუშაოების დროს არ ხდება პროექტის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა.[128] შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ კონკრეტულ ობიექტზე საჭირო რაოდენობის მასალებისა და დანახარჯების მოცულობა განისაზღვროს არასწორად.
2.7 ჰოსპიტალის შემოსავლების კონტროლის ნაკლოვანებები	**თავდაცვის სამინისტროს** სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი“ ჰოლდინგთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით,[129] რომლის მიხედვით, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი **ჰოსპიტალი** წარმოადგენს ერთ-ერთ პროვაიდერ კლინიკას. სადაზღვევო კომპანიის მიერ ორგანიზაციისთვის თანხის ანაზღაურება ხდება კაპიტაციის მეთოდით,[130] 2021 წელს კაპიტაციის მეთოდით სადაზღვევო კომპანიამ **ჰოსპიტალს** აუნაზღაურა 1,692,000 ლარი. ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით ვერ ხერხდება 2021 წელს **ჰოსპიტალის** მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ვერ დგინდება ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფინანსური შედეგი. **ჰოსპიტალის** პაციენტთა რეგისტრაციის პროგრამა არ არის ინტეგრირებული ბანკის[131] გადახდების სისტემასთან, შესაბამისად, არ ხდება გადახდილი თანხების ელექტრონული კონტროლი. თანხების გადახდა კონტროლდება გადახდის დამადასტურებელი ქვითრების ფიზიკური შემოწმებით. კონტროლის აღნიშნული ნაკლოვანებები ვერ უზრუნველყოფს მომსახურების გაწევიდან მისაღები შემოსავლების აღრიცხვის სისრულეს.

[125] ყავის, კვების სხვადასხვა პროდუქტის აპარატები.
[126] სკ 01.19.35.007.068; შპს „თამ თბილავიამშენის“ მიერ მიერ დაკავებულია დაახლოებით 30 კვ.მ.
[127] შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი.
[128] ვერ ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის არარსებობის გამო.
[129] ხელშეკრულება N1, 01.02.2022.
[130] კაპიტაციის მეთოდი - ანგარიშსწორების ისეთი მეთოდი, როდესაც მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შეთანხმებული პერიოდულობით, წინასწარ შეთანხმებული თანხების გადახდით, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია მზღვეველის გარკვეულ სადაზღვევო სქემაში.
[131] ლიბერთი ბანკი.

2.8 სააღრიცხვო პროგრამის ნაკლოვანებები

ლიცეუმს, აკადემიას და **ინსტიტუტ „ოპტიკას“** არ გააჩნიათ სრულყოფილი სააღრიცხვო პროგრამები, კერძოდ, **ლიცეუმი** ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს Microsoft Excel-ის საშუალებით, სადაც რთულია საბალანსე ნაშთების და ბრუნვების ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარება, ხოლო **აკადემია** სააღრიცხვო პროგრამაში[132] არ აწარმოებს მარაგების და ძირითადი საშუალებების ანალიზურ აღრიცხვას ინდივიდუალური ანგარიშის ნომრის, დასახელებების, ზომის ერთეულების და რაოდენობრივ-თანხობრივი მონაცემების მიხედვით.[133] **ინსტიტუტ „ოპტიკის“** სააღრიცხვო პროგრამაში[134] ასახული მონაცემები არ არის შესადარისი მომზადებული ანგარიშგების ფორმებთან, ასევე, პროგრამაში არ არის გადახურული შემოსავალ-ხარჯის ანგარიშები და არ არის ნაჩვენები დარიცხული ცვეთა. აღნიშნული ნაკლოვანებები ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს.

2.9 დელტას საწარმოო პროცესის და კონტროლის ნაკლოვანებები

დელტა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ორგანიზაციას წარმოადგენს. დებულების მიხედვით, სხვადასხვა დანიშნულებასთან ერთად, მისი ერთ-ერთი ფუნქციაა მრეწველობაში სამხედრო დანიშნულების ნაკეთობების სერიული ათვისების და წარმოების ორგანიზება. გარდა აღნიშნულისა, სამხედრო თავდაცვითი დანიშნულების შეკვეთების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო-ტექნოლოგიური ბაზის შესაძლებლობების შესწავლა. მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული განვითარების პოლიტიკა, რომლითაც დეტალურად უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის საქმიანობა და საწარმოო მიმართულებები, სიმძლავრეები და წარმადობა, რაც აფერხებს პროცესების ეფექტიანობას.

გარდა აღნიშნულისა, 2017-2021 წლებში **დელტა** სამინისტროსთვის უზრუნველყოფს ჯავშან-ჟილეტების, ჩაფხუტების, მედლების და სხვა მასალების დამზადებას. **დელტას** მიერ შეკვეთების დაგვიანებით დასრულების გამო, სამინისტროს აქტივები დაგვიანებით მიეწოდა.[135] გარდა აღნიშნულისა, ნაკლოვანებები გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებით:

- არ ხორციელდება დაგეგმილი და ფაქტობრივი ხარჯების დადარება და გადახრების ანალიზი;[136]
- 2021 წელს შესრულებულ შეკვეთებში ფიქსირდება შემთხვევები, როცა თვითღირებულებაში შემავალი დანახარჯების ელემენტები და მათი მოცულობა განსხვავებულია[137] დამკვეთის მიხედვით, რაც დაუსაბუთებელია. [138]

ორგანიზაციის განმარტებით, ნაკლოვანებების და გამოწვევების საპასუხოდ მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიება, კერძოდ, 2021 წელს დამტკიცდა ნაკეთობის

[132] პროგრამა „ორისი“.
[133] მონაცემები აღირიცხება Microsoft Excel-ში.
[134] პროგრამა „ორისი“.
[135] მაგალითად, 2021 წელს დახურულია სულ სამინისტროს 60 შეკვეთა, მათ შორის 19 ერთეული 2013-2018 წლებში გახსნილი შეკვეთებია.
[136] ფაქტობრივი თვითღირებულების დათვლას ახორციელებს ფინანსებისა და დაგეგმარების დეპარტამენტი, რომელსაც მთლიანი შეკვეთის დასრულებისას საწარმოები უგზავნიან გამოყენებული მასალების ჩამოწერის აქტებს და მათი ღირებულების მიხედვით დგება საბოლოო კალკულაცია.
[137] მაგალითად, სს „თამ თბილავიამშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულების(N076სს, 20.08.2020) მიხედვით, თვითღირებულება მოიცავს შრომით და კომუნალურ დანახარჯებს, შპს „დელტა ინტერნეიშენელის“ შეკვეთები კი - ხელფასს, კომუნალურ დანახარჯებს, მასალას, ზედნადებ და ადმინისტრაციულ ხარჯებს.
[138] სხვა დამკვეთებისგან განსხვავებით, თუ პროდუქცია მზადდება თავდაცვის სამინისტროსთვის, თვითღირებულებაში შემავალი ხარჯები მოიცავს მხოლოდ მასალის ხარჯს, ენერგო-დანახარჯებს, წარმოების, ინფრასტრუქტურის შენარჩუნების ხარჯს და დღგ-ს, მაშინ როცა ძირითად ხარჯებს მიეკუთვნება ასევე პირდაპირი მასალისა და შრომის ხარჯი.

	თვითღირებულების დაანგარიშების წესი, რომლის მიხედვითაც ხდება კონკრეტული შეკვეთის ფარგლებში კალკულაციის შედგენა და წარდგენა.
2.10 სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა	სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სამინისტროს და მის სსიპ-ებს არ აქვთ შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა.[139] აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას სხვადასხვა პრობლემური საკითხის აღრიცხვის შესახებ: • დანახარჯების კლასიფიკაცია კაპიტალიზებად და მიმდინარე დანახარჯებად; • ძირითადი საშუალებების რემონტის/დაშლის შედეგად მიღებული მეორადი მარაგნაწილების შეფასება; • არაფინანსური აქტივების კლასიფიცირების თანხობრივი ზღვარი, რა შემთხვევაშიც ორგანიზაციას შეუძლია იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[140] დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციით;[141] • ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადების განსაზღვრა/გადასინჯვა და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობით არის გამოწვეული სხვადასხვა საბალანსო ერთეულში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის არსებობა.
2.11 ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	**ჰოსპიტალი და ლიცეუმი** მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე[142] ითვლებიან კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებად და მათზე ვრცელდება თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა,[143] თუმცა აღნიშნულ სუბიექტებს არ აქვთ დამტკიცებული ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესები, კანონმდებლობის შესაბამისად,[144] თუმცა აღსანიშნავია, რომ ისინი ხელმძღვანელობენ სამინისტროს მიერ შემუშავებული პოლიტიკით.

[139] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 4, „ა“ ქვეპუნქტი.

[140] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“

[141] სადაც მცირეფასიან აქტივად განიხილება 500 ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე ძირითადი აქტივი.

[142] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N567 დადგენილება „თავდაცვის სფეროში კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

[143] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 10 აგვისტოს № MOD 021 00000706 ბრძანება „ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“.

[144] საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ (05.06.2012), მუხლი 4, პუნქტი 1 - „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ვალდებულია მიიღოს ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესები, რომლებიც ემსახურება ამ კანონის დებულებათა აღსრულებას და განსაზღვრავს ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას“.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე: - ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას; - ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე; - ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები	**ხელმოწერა**
ლევან შუბითიძე წამყვანი აუდიტორი	
მანანა დავითური მთავარი აუდიტორი	მ. დავითური
ვალერი სანაია წამყვანი აუდიტორი	
მიხეილ ზავრაშვილი აუდიტორი	
ნათია ტეფნაძე აუდიტორი	

ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;) ფინანსური შედეგების შესახბ ანგარიშგება;) წმინდა აქტივების/კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება;) ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება;) ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.

1	ანგარიშვალდებული ერთეული (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
2	ანგარიშვალდებული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა)	თბილისი. გენერალ გ. კვინიტაძის 20 ტელეფონი - (+995 32) 2 54 35 35 ელ.ფოსტა - mod@mod.gov.ge
3	საიდენტიფიკაციო ნომერი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	204 900 483
4	ორგანიზაციული ფორმა	მხარჯავი დაწესებულება
5	დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი საკუთარი სახსრები
6	ანგარიშგების ტიპი	ფინანსური ანგარიშგება
7	ანგარიშგების პერიოდულობა	წლიური
8	ანგარიშგების თარიღი და პერიოდი	31.12.2021 წელი. 2021 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
9	ერთეულების მომცველობა (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში)	1. სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა. 2. სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი. 3. სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია. 4. სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო. 5. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი. 6. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ (მასში შემავალ სსიპ-ებთან ერთად: გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი; ინსტიტუტი ოპტიკა; მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი).
10	ძირითადი საქმიანობების ჩამონათვალი	საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობა, მისი მუდმივი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა, ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა, ნებისმიერი ხელყოფისა და შესაძლო აგრესიის მოგერიება.
11	საანგარიშგებო ვალუტა	ლარი
12	დამრგვალების დონე	ერთეული
13	ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა)	ფირანი წაქაძე - 577 15 70 69 ptsakadze@mod.gov.ge ია დეკანოსიძე - 577 19 19 09 idekanosidze@mod.gov.ge

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA
204900483

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი
	აქტივები			
	მოკლევადიანი აქტივები			
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N 2	2,215,000	763,000
002	მიმდინარე ინვესტიციები	N 2ა	0	0
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N 2ა	69,210,652	31,940,425
004	მატერიალური მარაგები	N 3	806,591,489	764,420,429
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N 4	357,398,107	405,935,844
006	**სულ მოკლევადიანი აქტივები**		**1,235,415,248**	**1,203,059,698**
	გრძელვადიანი აქტივები			
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N 5	19,118,299	35,946,417
008	ძირითადი აქტივები	N 6	2,673,589,427	2,614,601,424
009	საინვესტიციო ქონება	N 7	0	0
010	არამატერიალური აქტივები	N 8	27,777,815	9,627,675
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	N 9	0	0
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	N 10	0	0
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	N 11	55,757,972	13,938,234
014	**სულ გრძელვადიანი აქტივები**		**2,776,243,513**	**2,674,113,750**
015	**სულ აქტივები**		**4,011,658,761**	**3,877,173,448**
	ვალდებულებები			
	მოკლევადიანი ვალდებულებები			
016	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N 12	0	0
017	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N 12	0	0
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	N 13ა	150,648,479	75,125,503
019	გადასახდელი პროცენტი	N 13ა	0	0
020	მიმდინარე ანარიცხები	N 13ბ	0	0
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N 13ა	633,077	626
022	ვალდებულებები დეპოზიტებით	N 13ა	125	3
023	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	N 13ა	0	0
024	**სულ მოკლევადიანი ვალდებულებები**		**151,281,681**	**75,126,132**
	გრძელვადიანი ვალდებულებები			
025	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N 12	0	0
026	გრძელვადიანი ნასესხები თანხები	N 12	0	0
027	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით	N 10	0	0
028	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N 9	0	0
029	გრძელვადიანი ანარიცხები	N 13ბ	0	0
030	გრძელვადინი კრედიტორული დავალიანებები	N 13ა	6,133,009	14,556,726
031	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**		**6,133,009**	**14,556,726**
032	**სულ ვალდებულებები**		**157,414,690**	**89,682,858**
	წმინდა აქტივები/კაპიტალი			
033	კაპიტალში შენატანები		0	0
034	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		3,854,244,071	3,787,490,590
035	**სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი**		**3,854,244,071**	**3,787,490,590**
036	**სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი**		**4,011,658,761**	**3,877,173,448**
	საანობარო ანგარიშები			
037	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01	**0**	0
038	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები	02	**8,315,909**	275,455
039	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანებები	03	**75,084,980**	33,248,926
040	ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში	04	**73,643,913**	85,642,067
041	პირობითი აქტივები	05	**985,556**	3,619
042	პირობითი ვალდებულებები	06	**4,808,688**	0
043	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	**0**	0
044	სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლუატაციაში	08	**288,100,115**	245,836,420
045	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	**52,034,547**	22,073,409
046	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	10	**103,975**	91,691
047	საბანკო გარანტიები	11	**24,890,654**	115,681
048	ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანებები	12	**14,733,704**	14,752,166
049	ექსპლოატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	13	**47,828,166**	38,625,842
050	აქტივების დანაკლისი საობარო მოქმედებების შედეგად	14	**99,627,331**	99,627,331
051	აქტივების სხვა დანაკლისები	15	**13,685,709**	13,678,035

ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

სამინისტროს მთავარი ბუღალტერი

MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA 204900483

ფინანსური შედეგების ანგარიშგება

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) ბრუნვა
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
	შემოსავლები					
001	საგადასახადო შემოსავლები	N14 ა			0	0
002	სოციალური შენატანები					
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	N14 გ	4,215,509	1,943	4,217,452	2,313,855
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	57,978,493	983,207	58,961,700	48,932,956
005	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	N14 გ	878,734	4,502,257	5,380,991	22,947,154
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 გ	983,737,388	0	983,737,388	842,378,800
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	N15ა	10,560	20,780,378	20,790,938	17,770,128
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	N15ბ/N17ა	0	0	0	0
009	საპროცენტო შემოსავლები	N15ა	0	224,212	224,212	311,175
010	საეჭვო (უიმედო) მოთხოვნების გაუფასურების/ღირებულების შემცირების უკუგატარებით შემოსავლები	N16	0	0	0	16,162,541
011	სხვადასხვა შემოსავლები	N18	55,635,581	3,256,191	58,891,772	372,280,178
012	**სულ შემოსავლები**		**1,102,456,265**	**29,748,188**	**1,132,204,453**	**1,323,096,787**
	ხარჯები					
013	შრომის ანაზღაურება	N17ა	431,432,816	7,100,835	438,533,651	416,711,701
014	საქონელი და მომსახურება	N17ა	319,368,714	11,599,508	330,968,222	452,205,046
015	გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	N17ა/N17ბ/N17გ	49,106,769	2,407,688	51,514,457	47,754,005
016	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	N17ა	9,264,548	1,509	9,266,057	4,484,336
017	ცვეთა და ამორტიზაცია	N17ა	153,948,784	899,030	154,847,814	376,926,794
018	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	N17ა	36,327,732	13,094	36,340,826	30,607,567
019	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი	N15ბ/17ა	0	0	0	0
020	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები)	N17ა	0	0	0	0
021	საეჭვო (უიმედო) მოთხოვნების გაუფასურების/ღირებულების შემცირების ხარჯები	N16	745,510	228	745,738	44,705,657
022	სხვადასხვა ხარჯები	N18	41,331,324	1,902,883	43,234,207	73,633,796
023	**სულ ხარჯები**		**1,041,526,197**	**23,924,775**	**1,065,450,972**	**1,447,028,902**
024	**პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)**		**60,930,068**	**5,823,413**	**66,753,481**	**(123,932,115)**

ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

სამინისტროს მთავარი ბუღალტერი

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

საანგარიშგებო (2021 წელი) პერიოდი

სტრიქონი სკოდი	დასახელება	შენიშვნა *	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	**საწყისი ნაშთი**		**0**	3,933,797,395	44,580,709	**3,978,378,104**
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N 1				0
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N 1		(191,044,014)	156,500	(190,887,514)
004	**გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი**		**0**	**3,742,753,381**	**44,737,209**	**3,787,490,590**
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება						
005	დამფუძნებლების შენატანები					0
006	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)			60,930,068	5,823,413	66,753,481
007	მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხები					0
008	**საბოლოო ნაშთი**		**0**	**3,803,683,449**	**50,560,622**	**3,854,244,071**

წინა საანგარიშგებო (2020 წელი) პერიოდი

სტრიქონი სკოდი	დასახელება	შენიშვნა *	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	**საწყისი ნაშთი**			**4,747,427,769**	**62,804,285**	**4,810,232,054**
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N 1		36,762,537	0	36,762,537
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N 1		(724,870,668)	(19,813,704)	(744,684,372)
004	**გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი**		**0**	**4,059,319,638**	**42,990,581**	**4,102,310,219**
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება						
005	დამფუძნებლების შენატანები					0
006	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)			(125,522,243)	1,590,128	(123,932,115)
007	მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხები					0
008	**საბოლოო ნაშთი**		**0**	**3,933,797,395**	**44,580,709**	**3,978,378,104**

ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

სამინისტროს მთავარი ბუღალტერი

29 00

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

2021 წელი

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

საანგარიშგებო (2021 წელი) პერიოდი

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა *	დამტკიცებული ბიუჯეტი (საწყისი)	დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)	ბიუჯეტის შესრულება	შესრულება (%)
	ბიუჯეტის შემოსულობები					
ბიუჯეტის შემოსავლები						
001	გადასახადები					0%
002	გრანტები					0%
003	სხვა შემოსავლები					0%
004	არაფინანსური აქტივების კლება					0%
005	ფინანსური აქტივების კლება					0%
006	ვალდებულებების ზრდა					0%
007	**სულ ბიუჯეტის შემოსულობები**		**0**	**0**	**0**	**0%**
ბიუჯეტის გადასახდელები						
008	შრომის ანაზღაურება		430,127,500	431,521,564	431,521,283	100%
009	საქონელი და მომსახურება		234,915,400	237,311,196	241,972,759	102%
010	პროცენტი					0%
011	სუბსიდიები					0%
012	გრანტები			94,452	94,370	100%
013	სოციალური დახმარება		33,695,000	36,535,645	36,535,628	100%
014	სხვა ხარჯები		25,163,500	25,840,369	25,840,353	100%
015	არაფინანსური აქტივების ზრდა		266,098,600	260,119,879	247,772,995	95%
016	ფინანსური აქტივების ზრდა					0%
017	ვალდებულებების კლება					0%
018	**სულ ბიუჯეტის გადასახდელები**		**990,000,000**	**991,423,105**	**983,737,388**	**99%**
19	**ბიუჯეტის ნაშთი**	N21				

* მითითებულ შენიშვნაში აისახება ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია

ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

სამინისტროს მთავარი ბუღალტერი

MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA * 204900483 *

შენიშვნა № 1 - სააღრიცხვო პოლიტიკები და სხვა განმარტებითი შენიშვნები
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
2021 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგებისათვის

შესავალი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას თავდაცვის სფეროში.
სამინისტროს დანიშნულებაა საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობა, მისი მუდმივი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა, ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა, ნებისმიერი ხელყოფისა და შესაძლო აგრესიის მოგერიება.
სამინისტროში დასაქმებულნი არიან სამხედრო მოსამსახურეები, სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები.
სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტებით.
სამინისტრო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას.
სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ და შედგენილია უშუალოდ სამინისტროსა და მის მიერ კონტროლირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

საკანონმდებლო ჩარჩო

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია შემდეგი ნორმატიული აქტები:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 04 თებერვლის № 24 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის № 108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის № 17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 02 დეკემბერის № 289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის № 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის № 424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის № 99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ დამტკიცების თაობაზე;

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის # 197 ბრძანებულება გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის № 108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციისა და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს) შესაბამისად. ამავე დროს გათვალისწინებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის, და სახელმწიფო სექტორის საქმიანობის მარეგულირებელი და აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

ფუნქციონირებადი ერთეული

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სამინისტროს სისტემის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ სამინისტრო და მასში შემავალი ერთეულები განაგრძობენ ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში.
ცნობილი არ არის არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს ერთეულების შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულებმა.

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდაციას ექვემდებარება უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ასევე მის მმართველობაში შემავალი კონტროლირებული ერთეულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები.
კონტროლირებული ერთეულების საქმიანობა რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან და უნიკალურია თავისი მნიშვნელობით.

კონსოლიდირებული ერთეულები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება შედგენილია უშუალოდ სამინისტროსა და შემდეგი ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე:

1. სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა.
2. სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.
3. სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.
4. სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო.
5. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.
6. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ (მასში შემავალ სსიპ-ებთან ერთად: გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი; ინსტიტუტი ოპტიკა; მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი).

2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი ფინანსური აქტივების სახით შევიდა და წმინდა აქტივებსა და კაპიტალზე გავლენა იქონია იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი კაპიტალის მოცულობამ, რომლებშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მასში შემავალ კონტროლირებულ ერთეულებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი გავლენა. ეს კომპანიებია:

1. შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ – 3,638,054.00 ლარიანი წმინდა აქტივით;

2. შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“ – 675,989.00 ლარიანი წმინდა აქტივით;
3. შპს „დელტა მშენებელი“ – 1,544,520.00 ლარიანი წმინდააქტივით;
4. შპს „დელტა ინტერნეიშენელი“ – 6,618,765.00 ლარიანი წმინდა აქტივით;
5. შპს „დელტა ტექსტილი“ – 800,734.00 ლარიანი წმინდა აქტივით;
6. შპს „დელტა სიეიეი“ – 1,536,852.00 ლარიანი წმინდა აქტივით;
7. შპს „ქართული კვების კომპანია“ – 4,303,385.00 ლარიანი წმინდა აქტივით;
8. შპს „Business World Aviation“ – ნულოვანი აქტივით;
9. შპს „United Armaments Georgia“ – ნულოვანი აქტივით;
10. შპს „ბუნებრივ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების ცენტრი“ – ნულოვანი აქტივით;
11. ა(ა)იპ „ენერგეტიკული ნივთიერებების საექსპორტო ბიურო“ – ნულოვანი აქტივით;

ინვესტიციები აღრიცხულია კაპიტალ მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

წარმოდგენილი კომპანიებიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან სახელშეკრულებო (უმეტესწილად საიდუმლო კონტრაქტებით) ურთიერთობებში 2021 წლის მანძილზე შემოსული იყო ხუთი სუბიექტი. წარმოგიდგენთ მათთან საქმიანი ურთიერთობის კრებსით მონაცემებს:

კომპანია	ქვედანაყოფი	ხელშეკრულებათა რაოდენობა	დებიტორული დავალიანება 2021 წლის დასაწყისში	კრედიტორული დავალიანება 2021 წლის დასაწყისში	2021 წელს გადარიცხული თანხები	2021 წელს მიღებული საქონელი/ მომსახურება	დებიტორული დავალიანება 2021 წლის ბოლოს	კრედიტორული დავალიანება 2021 წლის ბოლოს
შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“	თავდაცვის სამინისტრო	4 - არასაიდუმლო 10 - საიდუმლო			51,350,426	55.919.428		4.569,002
შპს „დელტა ტექსტილი“	თავდაცვის სამინისტრო	1 - არასაიდუმლო 1 - საიდუმლო	200,000	30.500	15,808,964	8.844.684	7,133,780	
შპს „დელტა მშენებელი“	თავდაცვის სამინისტრო	4 - არასაიდუმლო 14 - საიდუმლო	31,760,254		81,650,275	46.055.544	69.058.239	1.703.254
შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“	თავდაცვის სამინისტრო	1 - არასაიდუმლო			279,369	279,369		
შპს „დელტა ტექსტილი“	კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	2 - საიდუმლო			281.861	281.861		
შპს „დელტა ტექსტილი“	ეროვნული თავდაცვის აკადემია	1 - საიდუმლო			42.960		42,960	
შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“	სამხედრო ჰოსპიტალი	2 - არასაიდუმლო 3 - საიდუმლო			459,980	459,980		
შპს „დელტა მშენებელი“	სსტც დელტა	6 - საიდუმლო პროექტი	23,569.443	744	744	10.190.331	13.379.112	
შპს „დელტა ინტერნეიშენელი“	სსტც დელტა	6 - საიდუმლო	380,701		5,769	380,701	5,769	
სულ			**55.910.398**	**31.244**	**149.880.348**	**122.411,898**	**89.619.860**	**6.272.256**

ფინანსური ანგარიშგება და ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, კაპიტალის ცვლილებაზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე საანგარიშო პერიოდში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენ წარვადგენთ ფინანსური ანგარიშგების პაკეტს, რომელიც მოიცავს:
ფორმა № 1 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
ფორმა № 2 - ფინანსური შედეგების ანგარიშგება;
ფორმა № 4 - წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება;
ფორმა № 5 - ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დანართის სახით წარმოდგენილია:
შენიშვნა № 1 - სააღრიცხვო პოლიტიკები და სხვა განმარტებითი შენიშვნები;
შენიშვნა № 2 - ფულადი სახსრები და ეკვივალენტები;
შენიშვნა № 2ა - მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები;
შენიშვნა № 3 - მატერიალური მარაგები;
შენიშვნა № 4 - სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები;
შენიშვნა № 5 - გრძელვადიანი ფინანსური აქტივები;
შენიშვნა № 6 - ძირითადი აქტივები;
შენიშვნა № 8 - არამატერიალური აქტივები;
შენიშვნა № 11 - სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივები;
შენიშვნა № 13 - კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები;
შენიშვნა № 14 - შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა;
შენიშვნა № 15 - შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან;
შენიშვნა № 16 - საეჭვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულების შემცირების ხარჯები და უკუგატარებით შემოსავლები;
შენიშვნა № 17 - დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები;
შენიშვნა № 18 - სხვადასხვა შემოსავლები და ხარჯები.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ძირითადად გამოყენებულია საწყისი (ისტორიული) ღირებულება. იშვიათ შემთხვევაში - რეალური (გადაფასებული) ღირებულება.

საანგარიშგებო პერიოდი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია - 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მზადდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. დამრგვალება ხდება ერთ ლარამდე სიზუსტით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

სამინისტრო ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშგებო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, რომელზეც ვრცელდება სსბასს 4-ის - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები - მოთხოვნები. საანგარიშგებო თარიღისათვის გადაანგარიშებას დაექვემდებარა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნა ფულადი მუხლების გადაანგარიშებისას, აღიარდა როგორც კურსთაშორის სხვაობით და გადაფასების შედეგად მიღებული შემოსავალი/წარმოშობილი ხარჯი და აისახა საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხორციელდება თავდაპირველი აღიარების დროს. თავდაპირველი აღიარების დროს ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო და სხვა მახასიათებლებზე.
ფინანსური აქტივები ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, მიწოდებაზე და მომსახურებაზე წინასწარ გადადილ თანხებს, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებულ პირგასამტეხლოებს.

ძირითადად, ფინანსური აქტივის (ან შესაბამის შემთხვევებში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა და ყველა მოთხოვნის სამართლებრივი შესაძლებლობა ამოწურულია.
დებიტორული დავალიენებიბის დიდი ნაწილი (203 მლნ ლარი) წარმოქმნილია 2007-2011 წლებში. მათ აბსოლიტურ უმრავლესობაზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარებაში მოსაყვანად.
აქტივები, რომელიც ერთ წელზე მეტი ვადით მრავალჯერადი გამოყენებისაა, ღირებულება 500 ლარი და ნაკლებია (გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები) აღირიცხება როგორც მატერიალური მარაგები. ექსპლოატაციაში გაშვებისთანავე აღიარდება ხარჯად და აღირიცხება საცნობარო ანგარიშზე ,, ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში“

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს (მათ შორის უკან დაუბრუნებად გადასახადებს), რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ხარჯად. გარდა იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ერთეული მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი სარწმუნოდ შეფასება. ამ შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება თუ მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება სეუძლებელია ან აღიარდება მარაგებში.
ყოველწლიურად დასარიცხი ცვეთის/ამორტიზაციის თანხა გაიანგარიშება აქტივის ცვეთადი/ამორტიზირებადი ღირებულების გაყოფით სასარგებლო მომსახურების ვადაზე.
იმ შემთხვევაში თუ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრება მის მიერ შესრულებული სამუშაო/დროის მიხედვით ცვეთის დარიცხვა წარმოებს შესრულებული სამუშაოს/დროის პროპორციულად.
ახალი ცვეთადი ამორტიზირებადი აქტივებისათვის სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის #289 ბრძანებით განსაზღვრული მინიმალური ვადები.
სამხედრო დანიშნულების ქონებაზე გამოიყენება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის #197 ბრძანებულებით გათვალისწინებული ნორმები.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ან აქტივის ტექნიკური მახასიათებლებით განსაზღვრულია ნაკლები სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ამ უკანასკნელით განსაზღვრული ვადები.
ცვეთის დარიცხვა აქტივებზე, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრული არ არის, წარმოებს ერთგვაროვან (ანალოგიურ) აქტივებზე არსებული სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.
თუ ცვეთადი აქტივის შემადგენელ ნაწილებს გააჩნია განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები, ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის წარმოებს მათი ცალ-ცალკე აღრიცხვა (თუ თითოეული მათგანი აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს) და ცვეთის განსაზღვრისათვის განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადების გამოყენება.
თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მაშინ ,როდესაც ძირითადი საშუალება აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
ძირითადი აქტივები რომლებსაც საბალანსო ღირებულება აკუმულირებული ცვეთის გათვალისწინებით ნულის ტოლია და ამავდროულიად იმყოფებიან ექსპლოატაციაში აისახება ბალანსგარეშე საცნობარო ანგარიშებზე ,,სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლუატაციაში"

მიწა

სამინისტრო ფლობს მიწის ნაკვეთებს, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა ადგილზე. საჯარო რეესტრში მიწების უდიდესი ნაწილზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია სახელმწოფო საკუთრებად, ხოლო თავდაცვის სამინისტროზე რეგისტრირებულია სარგებლობის უფლება. ამ ეტაპზე აქიურად მიმდინარეობს ფორმალური საქმისწაროების პროცესები მფლობელობაში არსებული მიწების სარეგისტრაციო მონაცემებში.
მიწის ღირებულება შეფასეულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი ნორმატიული ფასების მიხედვით.

შენობა ნაგებობები

სამინისტროს ფლობელობაში არსებული შენობა ნაგებობები შედგება საოფისე, საყაზარმე, საწარმოო და საცხოვრებელი ფართებისაგან, შენობა-ნაგებობები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია. სამინისტროს შიგნით

წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ წლის ხარჯებში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი იქნა გაწეული.
სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში. სხვა შემთხვევაში გამოიყენება ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ნორმები.

სამხედრო იარაღის სისტემები

სამხედრო იარაღის სისტემები მოიცავს საბრძოლო შემადგენლობას და სხვა აღჭურვას, როგორებიცაა სამხედრო თვითმფრინავები, ტანკები, სარაკეტო გადამზიდავები, სატყორცნი დანადგარები და სხვა. იარაღის სისტემები აღირიცხება როგორც ძირითადი აქტივები. სამხედრო იარაღის სისტემები აერთიანებს სპეციალიზებულ საბრძოლო შემადგენლობას და სხვა აღჭურვილობას როგორიცაა სამხედრო თვითმფრინავები, ტანკები, სარაკეტო გადამზიდავები, სატყორცნი დანადგარები.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება, როდესაც ერთეულიდან მოსალოდნელია ეკონომიკური რესურის გადინება. ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით. გადაფასება (გარდაუცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი მუხლებისა) და დისკონტირება არ ხდება.
ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება, როდესაც დაკმაყოფილებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, აგრეთვე სამართლებრივი მოვალეობებით, რომელიც კანონმდებლობით აღსრულებადია.
სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში მიღებული შემოსავლების არიარება ხდება მათი მიღების (გადახდების) მომენტში. შიდა კაპიტალური ტრანსფერებისა და შიდა მიმდინარე ტრანსფერების სახით.
შემოსავლები და ხარჯები არ მოიცავს მესაკუთრის მიერ განხორციელებულ შენატანებს.
შემოსავალი და ხარჯი წარმოიქმნება გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციებიდან; სხვა მოვლენებიდან, როგორიცაა მაგალითად აქტივებისა და ვალდებულებების არარეალიზებული ზრდა და შემცირება; აქტივების მოხმარებიდან; ცვეთისა და მომსახურების პოტენციალის შემცირებისა და გაუფასურებების გამო ეკონომიკური სარგებლის წარმოქმნის უნარის შემცირების შედეგად. შემოსავალი და ხარჯი შეიძლება წარმოიქმნას ინდივიდუალური ოპერაციების ან ოპერაციათა ჯგუფების მეშვეობით.

ანგარიშგების მომზადების და გამოქვეყნების თარიღი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ოთხი თვის ვადაში და ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ანგარიშგების წარდგენის ვადამაც გადაიწია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია სამინისტროს მთავარი ბუღალტერი, ხოლო დამტკიცებასა და დანიშნულებისამებრ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენაზე, უფლებამოსილი პირი-სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

რესურსების განაწილება და გამოყენება

დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტი და არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული (საკუთარი) შემოსავლები. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლისა და სსიპ კიბერ უსაფრთხოების ბიუროს დაფინანსების წყაროა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი. სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის; სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის; სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტა“ (მასში შემავალ სსიპ-ებთან ერთად) დაფინანსების წყაროა როგორც საბიუჯეტო სახსრები, ისე საკუთარი შემოსავლები.
სამინისტროს მიერ ხარჯები გაწეულ იქნა სამართლებრივი და სახელშეკრულებო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით - როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების და გეგმის, ასევე, ვალდებულებების მოცულობის ფარგლებში.

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა

საგადასახადო მიზნებისათვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის მმართველობაში არსებული ერთეულების მიერ გადასახადების გაანგარიშება და გადახდა ხორციელდებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა სახელმწიფო სექტორში მოქმედი აღრიცხვის და ანგარიშგების ნორმებით და პრინციპებით, რომელიც განსხვავდება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარ მოვლენებს მიეკუთვნება ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის. ხოლო მოვლენები, რომლებზეც არსებობს მტკიცებულებები ანგარიშგების თარიღისათვის პირობების არსებობაზე, განიხილება ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებად.
ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგების წარდგენამდე განხორციელდა ამ პერიოდში მიღებული გასული წლის ვალდებულებების დაკრედიტება. ასევე, მოხდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 14 იანვრის № 19 და 27 იანვრის № 05 (საიდუმლო) ბრძანებებით დამტკიცებული და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე რიცხული დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების შემსწავლელი კომისიის“ მიერ გამოვლენილი ხანდაზმული დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ანგარიშებიდან საცნობარო მუხლებზე გადატანა.

განმარტებითი შენიშვნების შეზღუდვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში განხორციელებული ეკონომიკური მოვლენების ნაწილი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამოდინარე სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას. შესაბამისად მათი საიდუმლოება დაცულია კანონით და გამჟავნება შეუძლებელია.

დამატებითი ინფორმაცია

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში 1-21-2000 (1520) ანგარიშზე განთავსებული ნაშთები განეკუთვნება უშუალოდ თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ დელტას ფინანსურ ანგარიშგებებს. მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და ამასთან დაკავშირებული მიდგომების გათვალისწინებით საწესდებო კაპიტალში შენატანებს ადგილი აღარ ქონია.
წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი, 35,946,417 ლარი გაიზარდა/შემცირდა იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი კაპიტალის მოცულობით, რომლებიც პერიოდისათვის იმყოფებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და

მისი სსიპ-ების დაქვემდებარებაში და გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონტროლი. 16,828,118.00 ლარი განიხილება როგორც კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების ფლობით წარმოქმნილი ზარალი 5-82-3000 ანგარიშზე და ასახულია მე-18 შენიშვნაში. 1-21-2000 ანგარიშზე ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შეადგენს 19,118,299.00 ლარს.

გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის კორექტირებები შეეხო და კორექტირებები ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის 3-22-2000 ანგარიშზე აისახა 190,887,514 ლარი იმ პრივატიზებული ობიექტების ღირებულებები, რომლებიც გამიჯნვის პრობლემების გამო სრულად აღირიცხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე; სსიპ დელტასა და სამხედრო ჰოსპიტლის მიერ განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებების აფასება; ინვენტარიზაციის შედეგად აღირიცხა და ცენტრალურ ლოჯისტიკურ სამსახურებთან შედარების შედეგად დაზუსტდა მთელი რიგი საიდუმლო ქონების საწყისი ნაშთები.

არასაბიუჯეტო სახსრების (1-13-1230/1-11-2410) საწყის ნაშთს 2,922,303 ლარი + 28,877,962 ლარის საკასო შემოსავლები - 126 ლარი რომელიც დარჩენილი იყო შემოსულობების კოდზე და ა(ა)იპ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის ფონდის ლიკვიდაციის შედეგად მივმართეთ ბიუჯეტში – 26,877,227 ლარის საკასო ხარჯები = საბოლოო ნაშთს (1-13-1230; 1-11-2411 ანგარიშებზე) 4,922,912 ლარს.

3-20-0000 ნამეტი/დეფიციტის საწყის ნაშთს **3,978,378,104** ლარი **დააკლდა 190,887,514** ლარი კორექტირებები ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის; შედეგად დაფიქსირდა გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი **3,787,490,590** ლარი; რასაც დაემატა **983,737,388** ლარი მიღებული დაფინანსება; შემოსავლები ფორმა № 2-ის შესაბამისად **148,467,065** ლარი; და **დააკლდა 1,065,450,972** ლარის ხარჯები; საბოლოოდ **დაგვრჩა** ნაშთი **3,854,244,071** ლარი.

3-20-0000 ნამეტი/დეფიციტის საწყის ნაშთის გადაანგარიშების პარალელურად მოხდა აქტივების შესაბამისი საწყისი ნაშთების კორექტირებები:

#	დასახელება	თანხა
1	ნედლეული და მასალები	633,769
2	სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები	661,923
სულ	**შენიშვნა N 3**	**1,295,692**
1	წინასწარი გადახდები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებისათვის	-452,759
სულ	**შენიშვნა N 4**	**-452,759**
1	საცხოვრებელი სახლები	-105,677,538
2	არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები	-11,681,016
3	სხვა ნაგებობები	1,994,651
4	მიწა	-722,570

5	სატრანსპორტო მოწყობილობა	-3,796,673
6	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-166,266
7	სამხედრო იარაღის სისტემები	-31,797,906
სულ	**შენიშვნა N 6**	**-151,847,318**
1	კომპიუტერული პროგრამები	-407
სულ	**შენიშვნა N 8**	**-407**
1	დაუმთავრებელი მშენებლობა	-39,882,722
სულ	**შენიშვნა N 11**	**-39,882,722**

მნიშვნელოვანია გაცხადდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაში № 13 - კრედიტორული დავალიანება, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები - საგადასახადო კრედიტორული დავალიანების 2-13-2000 ანგარიშზე დაფიქსირებული 68,370,206 ლარიდან 68,350,902 ლარი არის ძირითადად ტანკსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის სისტემების მიღებისათვის გადაუხდელი საბაჟოს დღგ და მასზე დარიცხული ჯარიმა-საურავები (აღნიშნულ თანხას თავდაცვის გასული წლების ბიუჯეტები არ ითვალისწინებდა). ნაშთი დაზუსტებულია შემოსავლების სამსახურთან ყოველწლიური შედარების შედეგად. აქედან 64,073,164 ლარი შეტანილია საქართველოს მთავრობის ელექტრონულ პროგრამაში ატვირთულ „ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ“ განკარგულების პროექტში. შედეგი დაფიქსირდება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტი მეტი გამჭვირვალობისა და ოპერაციების დეტალიზაციის მიზნით იყენებს საცნობარო (ბალანსგარეშე) ანგარიშებს.

ასე, მაგალითად, 17 საიდუმლო ხელშეკრულების ფარგლებში შემოსული საბანკო გარანტიებით მოთხოვნებმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 24,890,654 ლარი. ანგარიშგების წარდგენის მდგომარეობით მათგან დაფარულია 307,630 ლარის მოთხოვნა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტთან თანამშრომლობით შესწავლილი და გაანალიზებულია სასამართლოებში მიმდინარე 770 საქმე. დაანგარიშებული პირობითი აქტივები (985,556 ლარი) და პირობითი ვალდებულებები (4,808,688 ლარი) ასახულია აღრიცხვაში. ანგარიშგების წარდგენის მდგომარეობით აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით შემცირებულია 244,171 ლარის ვალდებულება.

ამ პროცესში გამოიკვეთა საგულისხმო ფაქტი - შპს „ქართული კვების კომპანია“ (4,303,385.00 ლარიანი აქტივით), რომლის კაპიტალის 100%-ის მფლობელია სსიპ დელტა, აწარმოებდა სასამართლო პროცედურებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (დაკისრებული გვაქვს 3,536,522 ლარი) და ასახულია საცნობარო პირობითი

ვალდებულებების ანგარიშზე. ანგარიშგების წარდგენის მდგომარეობით აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით უკვე შემცირებულია 200,000 ლარის ვალდებულება.

დეტალური ინფორმაციები ცალკეული ფორმების აღქმასა და მათ შორის კავშირების დადგენასთან დაკავშირებით გაშიფრულია სქოლიოებში.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის და შემდგომ პერიოდში მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისა და სხვა შიდაუწყებრივი მაკონტროლებელი ერთეულების მიერ სამინისტროს საქმიანობის შესწავლა. 2021 წლის ფინანსურ აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი ჯგუფი.
ამ პროცესების პარალელურად ხდება მოვლენების დეტალური ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება როგორც ბიუჯეტის პროგრამების, ისე ბუღალტრული აღრიცხვის კუთხით. ასე მაგალითად, სახელმწიფო აუდიტის ფინანსური აუდიტის შედეგად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღრიცხვის სფეროში გატარდა მთელი რიგი ცვლილებები - სააღრიცხვო ინფორმაციები, რომლებსაც ამზადებდნენ სხვადასხვა სამსახურები და ხდებოდა მათი მექანიკური გაერთიანება, გადავიდა ერთ სიბრტყეზე. შესაძლებელი გახდა მაქსიმალური ინფორმაციის ამოღება ქვედა დონის ერთეულებიდან და მათი შიდა ოპერაციების გათიშვა. ჩატარდა აღრიცხვის სფეროს თანამშრომლებთან გასაუბრებები და დაიგეგმა ტრეინინგები.

გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციები პერმანენტულად მიეწოდება შიდა აუდიტსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ——— ფირანი წაქაძე

სამინისტროს მთავარი ბუღალტერი ——— ია დეკანოსიძე

შენიშვნა N2 ფულადი სახსრები და ეკვივალენტები			
სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში			
010	**ხაზინის ერთიანი ანგარიში, მათ შორის: 1-11-2100**	0	0
020	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები 1-11-2110		
030	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სახსრები		
040	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების სახსრები		
050	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების სახსრები		
060	სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში 1-11-2140		
070	**ფულადი სახსრები სალაროში ეროვნულ ვალუტაში * 1-11-1100**		
080	**კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები ეროვნულ ვალუტაში * 1-11-2410**	2,215,000	763,000
090	**სულ ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში**	**2,215,000**	**763,000**
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში			
100	**ხაზინის სავალუტო ანგარიში 1-11-2200**		
110	**ფულადი სახსრები სალაროში უცხოურ ვალუტაში * 1-11-1200**		
120	**კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები უცხოურ ვალუტაში * 1-11-2420**		
130	**სულ ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში**	**0**	**0**
ფულადი სახსრების ექვივალენტები 1-11-3000			
140	სახელმწიფო ხაზინის მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები		
150	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები		
160	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები		
170	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები		
180	**სულ ფულადი სახსრების ექვივალენტები**	**0**	**0**
190	**სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები**	**2,215,000**	**763,000**

*ანგარიშგებაში ფულად სახსრებად ასახული თანხები
კომერციულ ბანკში გახსნილ ანგარიშზე თანხები განთავსებული აქვს მხოლოდ სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალს.

შენიშვნა N2ა მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები							
სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი			წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი		
		მთლიანი საბალანსო ღირებულება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საეჭვო მოთხოვნების	საბალანსო ღირებულება	მთლიანი საბალანსო ღირებულება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე ინვესტიციები							
010	მოკლევადიანი სესხები 1-12-1000	0	0	0	0	0	0
020	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი 1-12-2000	0	0	0	0	0	0
030	ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი 1-12-3000	0	0	0	0	0	0
040	მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა 1-12-4000	0	0	0	0	0	0
050	სხვა მიმდინარე ინვესტიციები 1-12-9000	0	0	0	0	0	0
060	სულ მიმდინარე ინვესტიციები	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები							
070	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-1000	4,791,271	0	4,791,271	2,751,189	0	2,751,189
080	გადასახადებიდან მისაღები თანხები 1-13-2000	***35,169***	***0***	***35,169***	***108,606***	***0***	***108,606***
090	საშემოსავლო გადასახადი 1-13-2100	27,180	0	27,180	26,882	0	26,882
100	მოგების გადასახადი 1-13-2200	7,175	0	7,175	7,316	0	7,316
110	ქონების გადასახადი 1-13-2300	814	0	814	1,514	0	1,514
120	დღგ 1-13-2400	0	0	0	72,894	0	72,894
130	სააქციზო გადასახადი 1-13-2500	0	0	0	0	0	0
140	იმპორტის გადასახადი 1-13-2600	0	0	0	0	0	0
150	სხვა გადასახადები 1-13-2700	0	0	0	0	0	0
160	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში 1-13-3000	39	0	39	13	0	13
170	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით 1-13-4000	22,980,849	0	22,980,849	20,759,553	0	20,759,553
180	მისაღები დივიდენდები 1-13-5000	0	0	0	0	0	0
190	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-6000	5,103,443	0	5,103,443	6,350,344	0	6,350,344
200	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ 1-13-7000	1,767,664	0	1,767,664	1,861,037	0	1,861,037
210	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით) 1-13-8000	0	0	0	0	0	0
220	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები 1-13-9000	34,532,217	0	34,532,217	109,683	0	109,683
230	მ.შ. მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 1-13-9500	0	0	0	0	0	0
240	სულ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები	**69,210,652**	**0**	**69,210,652**	**31,940,425**	**0**	**31,940,425**

სტრიქონის კოდი	დასახელება	მთლიანი საბალანსო ღირებულება			
		საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საწყისი ნაშთი	ზრდა	კლება	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი
მიმდინარე ინვესტიციები					
010	მოკლევადიანი სესხები 1-12-1000				0
020	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი 1-12-2000				0
030	ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი 1-12-3000				0
040	მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა 1-12-4000				0
050	სხვა მიმდინარე ინვესტიციები 1-12-9000				0
060	სულ მიმდინარე ინვესტიციები	**0**	**0**	**0**	**0**
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები					
070	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-1000	2,751,189	77,082,010	75,041,928	4,791,271
080	გადასახადებიდან მისაღები თანხები 1-13-2000	108,606	457,197	530,634	35,169
090	საშემოსავლო გადასახადი 1-13-2100	26,882	2,150	1,852	27,180
100	მოგების გადასახადი 1-13-2200	7,316		141	7,175
110	ქონების გადასახადი 1-13-2300	1,514		700	814
120	დღგ 1-13-2400	72,894	455,047	527,941	0
130	სააქციზო გადასახადი 1-13-2500				0
140	იმპორტის გადასახადი 1-13-2600				0
1	...ვა გად... ...ბი 1-1...				

170	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით 1-13-4000	20,759,553	4,519,796	2,298,500	22,980,849
180	მისაღები დივიდენდები 1-13-5000				0
190	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-6000	6,350,344	25,158,020	26,404,921	5,103,443
200	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ 1-13-7000	1,861,037	4,139,399	4,232,772	1,767,664
210	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით) 1-13-8000				0
220	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები 1-13-9000	109,683	34,508,384	85,850	34,532,217
230	მ.შ. მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 1-13-9500		5,835	5,835	0
240	**სულ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები**	**31,940,425**	**145,864,943**	**108,594,716**	**69,210,652**

სტრიქონის კოდი	დასახელება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები				
		საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საწყისი ნაშთი	წლის გაუფასურების ხარჯი/საეჭვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი	უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავალი	აქტივების რეკლასიფიცირება სას მიღებული ან ანულირებული	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი
მიმდინარე ინვესტიციები						
010	მოკლევადიანი სესხები 1-12-1000					0
020	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი 1-12-2000					0
030	ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი 1-12-3000					0
040	მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა 1-12-4000					0
050	სხვა მიმდინარე ინვესტიციები 1-12-9000					0
060	**სულ მიმდინარე ინვესტიციები**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები						
070	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-1000					0
080	გადასახადებიდან მისაღები თანხები 1-13-2000	0	0	0	0	0
090	საშემოსავლო გადასახადი 1-13-2100					0
100	მოგების გადასახადი 1-13-2200					0
110	ქონების გადასახადი 1-13-2300					0
120	დღგ 1-13-2400					0
130	სააქციზო გადასახადი 1-13-2500					0
140	იმპორტის გადასახადი 1-13-2600					0
150	სხვა გადასახადები 1-13-2700					0
160	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში 1-13-3000					0
170	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით 1-13-4000					0
180	მისაღები დივიდენდები 1-13-5000					0
190	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-6000					0
200	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ 1-13-7000					0
210	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით) 1-13-8000					0
220	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები 1-13-9000					0
230	მ.შ. მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 1-13-9500					0
240	**სულ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**

სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

ანგ. ნომრები	მუხლები	საანგარიშგებო (2021 წელი) პერიოდი	წინა საანგარიშგებო (2020 წელი) პერიოდი
1-13-1220	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, მიზნობრივი გრანტებით (ძვ. 1240)	1,856,986	279,955
1-13-1230	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით (ძვ. 1230)	2,707,912	2,159,393
1-13-1240	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, **საბიუჯეტო** სახსრებით **უცხოურ** ვალუტაში	43,548	82,341
1-13-1250	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით **უცხოურ** ვალუტაში	178,143	203,337
1-13-1260	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით **უცხოურ** ვალუტაში		
1-13-1270	საბიუჯეტო ორგანიზაციების **სხვა** მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ (ძვ.ანგ.1260, 1270, 1292)	4,682	26,253
	სულ სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-1000	**4,791,271**	**2,751,279**

შენიშვნა N3 მატერიალური მარაგები

სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი			წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი		
		ღირებულება *	აკუმულირებული ღირებულების შემცირება	საბალანსო ღირებულება	ღირებულება *	აკუმულირებული ღირებულების შემცირება	საბალანსო ღირებულება
	1-14-0000						
010	ნედლეული და მასალები 1-14-1100	11,387,405	0	**11,387,405**	10,936,384	0	**10,936,384**
020	სხვა მასალები და მარაგები1-14-1400	**94,769,715**	**0**	94,769,715	80,314,007	0	80,314,007
030	მცირეფასიანი აქტივები 1-14-1410	21,895,343	0	**21,895,343**	11,671,491	0	**11,671,491**
040	სხვა დახარჯული მასალები და მარაგები 1-14-1420	72,874,372	0	**72,874,372**	68,642,516	0	**68,642,516**
050	დაუმთავრებელი წარმოება 1-14-2000	4,080,603	0	**4,080,603**	2,129,892	0	**2,129,892**
060	მზა პროდუქცია 1-14-3000	436,294	0	**436,294**	2,714,965	0	**2,714,965**
070	გაყიდვის ძირნით ფლობილი საქონელი 1-14-4000	3,635	0	**3,635**	3,635	0	**3,635**
080	სამხედრო მატერიალური მარაგები 1-14-5000	695,913,837	0	**695,913,837**	668,321,546	0	**668,321,546**
090	**სულ**	**806,591,489**	**0**	**806,591,489**	**764,420,429**	**0**	**764,420,429**

სტრიქონის კოდი	მატერიალური მარაგების ღირებულება	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საწყისი ნაშთი	მიღება							გასვლა									საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი
			წინა საანგარიშგებო პერიოდების აღებულის შემცირებით	მიმდინარე პერიოდის შესყიდვით	გრანტებით	გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვებან არის კლასიფიცირებული	დანაკლისის აღდგენით	** სხვადასხვა შეფასებით	*** სხვა მიღებებით	სასაქონლო ფირმით ანაზღაურებით	საქონლითა და მომსახურებით	სუბსიდიებით	გრანტებით	გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვებან არის კლასიფიცირებული	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	** სხვადასხვა ხარჯებით	*** სხვა გასვლებით	
	1-14-0000																		
010	ნედლეული და მასალები 1-14-1100	10,936,384	1,055,731	7,484,352	4,670,571	251,205		4,391,670	335,593		12,131,850		10,915			3,397	821	5,591,118	11,387,405
020	სხვა მასალები და მარაგები1-14-1400	80,314,007	1,651,099	40,951,621	645,681	329,938	0	24,569,524	16,517,295	0	66,302,398	0	853,055	627,595	0	570	0	2,425,832	94,769,715
030	მცირეფასიანი აქტივები 1-14-1410	11,671,491	62,784	2,253,155	524,734	2,140		1,645,332	16,483,123		10,593,685		143,563	450		570		9,148	21,895,343
040	სხვა დახარჯული მასალები და მარაგები 1-14-1420	68,642,516	1,588,315	38,698,466	120,947	327,798		22,924,192	34,172		55,708,713		709,492	627,145				2,416,684	72,874,372
050	დაუმთავრებელი წარმოება 1-14-2000	2,129,892						1,414,987	6,277,202		1,661,258						1,414,825	2,665,395	4,080,603
060	მზა პროდუქცია 1-14-3000	2,714,965							2,052,301		1,968		771					4,328,233	436,294
070	გაყიდვის ძირნით ფლობილი საქონელი 1-14-4000	3,635																	3,635
080	სამხედრო მატერიალური მარაგები 1-14-5000	668,321,546	3,421,769	14,501,060	126,650	119,436		493,210	61,977,315		52,797,812		240,024	930				8,383	695,913,837
090	**სულ**	**764,420,429**	**6,128,599**	**62,937,033**	**5,442,902**	**700,579**	**0**	**30,869,391**	**87,159,706**	**0**	**132,895,286**	**0**	**1,104,765**	**628,525**	**0**	**3,967**	**1,415,646**	**15,018,961**	806,591,489

* იგულისხმება თვითღირებულება ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხა

** აისახება მოცულობითი, რაოდენობრივი ცვლილებებით წარმოქმნილი შემოსავლები და ხარჯები. რაც შეეხება ღირებულებით ცვლილებას, რომელიც გამოწვეულია ერთეულადი შეფასებით/გადაფასებით, იგი აისახება როგორც კაპიტალის კორექტირება "წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების" ანგარიშგებაში

*** აისახება ზრდა/შემცირება კაპიტალში შენატანებით, სხვა ერთეულებში ინვესტიციებით, აქტივების რეკლასიფიკაციით, ბარტერით და ა.შ.

სტრ ქონ სკოდ ი	დასახელება	მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირება						
		საწყისი ნაშთი	წლის ღირებულებ ის შემცირების ხარჯები *****	წლის ღირებულების შემცირების უკუგატარებ ით შემოსავალი *****	გასვლისას ანულირებულ ი	მიღებული აკუმულირე ბული ღირებულებ ის შემცირება	აქტივების რეკლასიფიც ირებისას მიღებული ანანულირებ ული	საბოლოო ნაშთი
	1-14-0000							
010	ნედლეული და მასალები 1-14-1100							0
020	სხვა მასალები და მარაგები1-14-1400	0	0	0	0	0	0	0
030	მცირეფასიანი აქტივები 1-14-1410							0
040	სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები 1-14-1420							0
050	დაუმთავრებელი წარმოება 1-14-2000							0
060	მზა პროდუქცია 1-14-3000							0
070	გაყიდვის ძიზნით ფლობილი საქონელი 1-14-4000							0
080	სამხედრო მატერიალური მარაგები 1-14-5000							0
090	სულ	0	0	0	0	0	0	0

***** განმარტეთ ღირებულების შემცირების ან ღირებულების შემცირების უკუგატარების მიზეზები.

სააღრიცხვო პოლიტიკები:

1.მარაგების შეფასებასა და აღრიცხვაში მიმდინარეობს ცვალებადი, მუშა პროცესი სააღრიცხვო პოლიტიკის დახვეწის მიმართულებით. ხორციელდება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად მიღებული ზარალის დასათვლელად მესაბამისი კომისიის საქმიანობასთან და „საბჭოთა ჯარის“ დროინდელ ქონებასთან დაკავშირებით შიდა და ზოგადი საკანონმდებლო საფუძვლების შემუშავება.
2. მიმდინარე პერიოდის შესყიდვებისა და წინა წლების ავანსების შემცირებით მარაგების მიღებაზე და ხარჯების გათვლების დებიტორ-კრედიტორებთან კავშირებზე გავლენას ახდენს არასაპერაციო და მომსახურებების ხარჯები, ასევე კომისიური წესით შემცირებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

შენიშვნა N4 სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები *				
სტრიქონის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი	
010	**წინასწარი გადახდები 1-15-1000**	**357,381,643**	**405,926,357**	
020	წინასწარი გადახდები საქონლისა და მომსახურებისათვის 1-15-1100	212,669,544	266,391,524	
030	წინასწარი გადახდები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებისათვის 1-15-1200	144,705,648	139,532,663	
040	წინასწარი გადახდები გადასახდელებით 1-15-1300	6,451	2,170	
050	**მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გადაცემით 1-15-2000**			
060	**ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები 1-15-3000**			
070	**მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 1-15-4000**			
080	**მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით 1-15-5000**	16,464	9,487	**6,977**
090	**სულ**	**357,398,107**	**405,935,844**	

* აისახება 1-15-0000 ანგარიშებზე არსებული არაფულადი მოთხოვნები

სააღრიცხვო პოლიტიკები:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგების წარდგენამდე განხორციელდა ამ პერიოდში მიღებული გასული წლის ვალდებულებების დაკრედიტება. ასევე, მოხდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 14 იანვრის № 19 და 27 იანვრის № 05 (საიდუმლო) ბრძანებებით დამტკიცებული და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე რიცხული დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების შემსწავლელი კომისიის“ მიერ გამოვლენილი ხანდაზმული დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ანგარიშებიდან

მიმდინარე პერიოდის შესყიდვებისა და წინა წლების ავანსების შემცირებით აქტივებისა და მარაგების მიღებაზე და ხარჯების გათვლების დებიტორ-კრედიტორებთან კავშირებზე გავლენას ახდენს არასაოპერაციო და მომსახურებების ხარჯები, ასევე კომისიური წესით შემცირებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

შენიშვნა N5 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები							
		საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი			წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთ		
სტრიქონის კოდი	**დასახელება**	მთლიანი ნაშთი	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საეჭვო მოთხოვნის	საბალანსო ღირებულება	მთლიანი ნაშთი	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საეჭვო მოთხოვნის	საბალანსო ღირებულება
010	**გრძელვადიანი ფინანსური აქტივები 1-21-0000**	**19,118,299**	**0**	**19,118,299**	**35,946,417**	**0**	**35,946,417**
020	კრედიტები და სესხები (საბოლოო დაფარვის თარიღამდე დარჩენილია ერთ წელზე მეტი) 1-21-1000	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
030	ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში 1-21-2000	**19,118,299**	**0**	**19,118,299**	**35,946,417**	**0**	**35,946,417**
040	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები 1-21-3000	**0**	0	**0**	0	0	**0**
050	სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნები 1-21-4000	**0**	0	**0**	0	0	**0**

სტრიქონის კოდი	**დასახელება**	**სულ**	**კრედიტები და სესხები (დაფარვის თარიღამდე**	**ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში**	**სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები**	**სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი**
	მთლიანი ნაშთი					
010	**წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი**	**35,946,417**		**35,946,417**		
020	ზრდა	**1,243,603**	0	1,243,603	0	0
030	მ.შ. კურსთაშორის სხვაობით	**0**				
040	რეკლასიფიკაცია მოკლევადიან (მიმდინარე) ფინანსურ აქტივებად	**0**				
050	სხვა *	**1,243,603**		1,243,603		
060	კლება	**18,071,721**	0	18,071,721	0	0
070	მ.შ. კურსთაშორის სხვაობით	**0**				
080	რეკლასიფიკაცია მოკლევადიან (მიმდინარე) ფინანსურ აქტივებად	**0**				
090	სხვა *	**18,071,721**		18,071,721		
100	**საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი**	**19,118,299**	**0**	**19,118,299**	**0**	**0**
	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საეჭვო მოთხოვნის ანარიცხი					
110	**წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი**	**0**				
120	ზრდა	**0**				
130	რეკლასიფიკაცია მოკლევადიან (მიმდინარე) ფინანსურ აქტივებად	**0**				
140	კლება	**0**				
150	რეკლასიფიკაცია მოკლევადიან (მიმდინარე) ფინანსურ აქტივებად	**0**				
160	**საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
	საბალანსო ღირებულება					
170	წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი	**35,946,417**	**0**	**35,946,417**	**0**	**0**
180	საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი	**19,118,299**	**0**	**19,118,299**	**0**	**0**

* აისახება ზრდა/შემცირება კაპიტალში შენატანებით, სხვა ერთეულებში ინვესტიციებით, აქტივების რეკლასიფიკაციით და ა.შ.

სტრიქონის კოდი	**დასახელება**	საანგარიშგებო პერიოდი (2021 წელი) 31 დეკემბრის	წინა საანგარიშგებო პერიოდი (2020 წელი) 31
010	**გრძლვადიანი დებიტორული დავალიანება ფინანსური იჯარიდან**		
020	სულ მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში		
030	ფინანსური იჯარის მინიმალური შენატანების ამჟამინდელი ღირებულება		
040	გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი		

სააღრიცხვო პოლიტიკები:

ა) გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით.

ბ) ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში 1-21-0000 (1520) ანგარიშზე ინვესტიციები აღრიცხულია კაპიტალ მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შემენის შემდგომ მომხდარი ცვლილების

გ) ფინანსური იჯარიდან მისაღები გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების აღიარება იჯარით გაცემული ქონების რეალურ (სამართლიან) ღირებულებასა და იჯარის ხელშეკრულების დაწყებისას განსაზღვრული იჯარის მინიმალური შენატანების ამჟამინდელ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით ხდება.

		შენიშვნა N6 ძირითადი აქტივები							
		საანგარიშგებო პერიოდის (2021 წლის) საბოლოო ნაშთი				წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წლის) საბოლოო ნაშთი			
სტრ ქონის კოდი	დასახელება	ღირებულება *	დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი გაუფასურება	საბალანსო ღირებულება	ღირებულება *	დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი გაუფასურება	საბალანსო ღირებულება
010	**შენობა-ნაგებობები საკუთარი მიზნებისათვის გამოსაყენებლად 1-22-1000**	**1,863,861,405**	**104,306,044**	**0**	**1,759,555,361**	**1,893,278,523**	**138,422,716**	**0**	**1,754,855,807**
020	საცხოვრებელი სახლები 1-22-1100	**57,770,042**	**5,196,275**	**0**	**52,573,767**	**79,133,918**	**28,558,044**	**0**	**50,575,874**
030	არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები 1-22-1200	**328,049,435**	**72,916,189**	**0**	**255,133,246**	**337,664,492**	**82,461,784**	**0**	**255,202,708**
040	სხვა ნაგებობები 1-22-1300	**78,220,098**	**26,193,580**	**0**	**52,026,518**	**72,786,762**	**27,402,888**	**0**	**45,383,874**
050	მიწის გაუმჯობესება 1-22-1400	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
060	**მიწა 1-22-1500**	**1,399,821,830**		**0**	**1,399,821,830**	**1,403,693,351**		**0**	**1,403,693,351**
070	**მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 1-22-2000**	**1,261,694,338**	**348,790,872**	**0**	**912,903,466**	**1,186,577,882**	**326,832,265**	**0**	**859,745,617**
080	სატრანსპორტო მოწყობილობა 1-22-2100	**226,621,000**	**39,362,376**	**0**	**187,258,624**	**119,164,741**	**18,211,370**	**0**	**100,953,371**
